# საერთო გაზეთი

№33 (583) • 21 ოქტომბერი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი


## 31 ოქტომბერი – დიდი ლუსტრაციის დღე!


მიტინგი ბათუმში

როცა „ნაცმოძრაობას“, ანუ მკვლელებს, ბანდიტებს, ყაჩაღებს, მოღალატეებს და ქვეყნის გამყიდველებს უჭერ მხარს, თვითონაც მკვლელი, ბანდიტი, ყაჩაღი, ქვეყნის მოღალატე და გამყიდველი ხარ და თუ საჭირო იქნება, მზად ხარ შენც ის გააკეთო, რასაც შენი რჩეულები აკეთებდნენ – მოკლა, დააყაჩაღო, გაძარცვო, სამშობლოს უღალატო.



**„ნაციონალური მოძრაობა“ ტერორისტული ორგანიზაციაა**

**ნაცებს სამშობლო არ აქვთ, მათ საქართველო და ქართველი ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ!**

## ირაკლი ღარიბაშვილის ბენეფისი



**ირაკლი ღარიბაშვილმა, მიხეილ სააკაშვილიდან დაწყებული, „ნაცმოძრაობის“ რიგითი „შნირებით“ დამთავრებული, ყველას აუგო ანდერძი**

გელა ზედელაშვილი: მინდა ირაკლი ღარიბაშვილს, როგორც კახელი კახელს, წავეხმარო და ის სიტყვები ვთქვა, რისი თქმაც, ალბათ, ძალიან უნდოდა, მაგრამ როგორც თანამდებობის პირი, ვერ იტყოდა: „ნაცებო“ და მათთან გათანაბრებულო პირებო, თქვე მოღალატეებო, ყაჩაღებო და მკვლელებო, მოგიტ... ანით კეთილები, შეღავათიან ფასებში!





**„ნაცმოძრაობის“ სამი კუდი, ანუ მრავალსახეობა ოპოზიციად წოდებული ფარშევანგებისა**



**რამაზ საყვარელიძე: ცდება, ვისაც ჰგონია რომ, „ნაციონალები“ გამარჯვებისთვის იბრძვიან**

**ტელევიზიებია თუ ავაზაკთა და უწმინდურთა გასახეხ-გასარეცხი საამქრო?**



**ხაზარაძე და მისმა ბანდამ ანაკლია კატასტროფის ზონად აქცია!**

## ნაცმოძრაობა – მკვლელების დესანტი ჯოჯოხეთიდან

# ირაკლი ღარიბაშვილის ბენეფისი

## ირაკლი ღარიბაშვილმა, მიხეილ სააკაშვილიდან დაწყებული, „ნაცმოძრაობის“ რიგითი „შნირებით“ დამთავრებული, ყველას აუგო ანდერძი



15 ოქტომბერს, 22 საათზე, ტელეკომპანია „იმედის“ (გადაცემა – “ნამდვილი რიცხვები”) პირდაპირ ეთერში თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ფაქტობრივად, დაამთავრა „ნაციონალური მოძრაობაც“ და ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციაც. რაც მთავარია, მან ყველას და ყველაფერს დაარქვა თავისი სახელი –



ავს უწოდა ავი, ნაძირალას – ნაძირალა, მოღალატეს – მოღალატე, ჩათლახს – ჩათლახი, დედამოტ... ნულს – დედამოტ...ნული. თუმცა არა, ბოლო ვარიანტი დედის თაობაზედ მე დავამატე. ვინაიდან, ირაკლი ღარიბაშვილი თანამდებობის პირია და აქვს თმენის ვალდებულება, ასე ვერ იტყოდა. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე, რაღაცით მეც წავეხმარო.

მოკლედ, მივიდა ბატონი ირაკლი გადაცემაში, მიიტანა დოკუმენტების მთელი დასტა და მიხეილ სააკაშვილიდან დაწყებული, „ნაცმოძრაობის“ რიგითი „შნირებით“ დამთავრებული, ყველას (სამართლიანად) აუგო ანდერძი. ვისაც გადაცემა არ გინახავთ, დასაწყისშივე გეტყვით, თემის შესახებ: მოგეხსენებათ, ჩვენ, ქართველებს პრობლემა გვაქვს მეზობელ აზერბაიჯანთან დავით გარეჯის სამონასტრო კომლექსთან დაკავშირებით. 1996 წელს (შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში) გაფორმდა შეთანხმება, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ გარეჯის საკითხი ორ სახელმწიფოს შორის საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაცია გაგრძელდებოდა 1938 წლის რუკით.

უდაბნოს და ჩიჩხიტურის მხრიდან და პირდაპირ ქედზე გამოატარეს საზღვარი მაშინ, როდესაც ქედის ქვევით, დაახლოებით 500 მეტრში უნდა გაეტარებინათ.

ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ზურაბ ნოღაიდელმა ტელევიზიით გამოსვლისას დაადასტურა, რომ ეს იყო სააკაშვილის დონეზე მიღებული გადაწყვეტილება.

საქმე გვაქვს უდიდეს ღალატთან. თუმცა ამ ეტაპზე სააკაშვილსა და მის ხროვას ამ მუხლით ვერ გავასამართლებთ, რადგან 207-ე მუხლი 2007 წელს განგებ ამოიღეს სისხლის სამართლის კოდექსიდან.

რატომ გააქრეს 207-ე მუხლი, როცა მანამდე ასეულობით ადამიანი გაასამართლეს სწორედ ამავე მუხლით? დუკვირდით (გაიხსენეთ) დიდი ღალატი სწორედ 2007 წლიდან იწყება – იკარგება კოდორი, ახალგორი (160 სოფელი) და რუსეთის ხელში გადადის 70-ზე მეტი სტრატეგიული ობიექტი. ახლა ამას დაუმატეთ გარეჯის ერთი ნაწილი, 350 ათასი ჰექტარი. აი, რას ამბობს ირაკლი ღარიბაშვილი:

„ამ კოლექტიურმა სააკაშვილებმა გარკვეულ მონაკვეთებზე გამოიყენეს 1970-იან წლებში გამოშვებული რუკები, ხოლო გარკვეულ მონაკვეთზე 1980-იან წლებში გამოშვებული რუკები. ერთ კონკრეტულ მაგალითს გეტყვით ბაბაქიარის მთაზე, რომელიც დეფაქტო ჩვენ სარგებლობაში იყო, 2006–2007 წლებში მიადგნენ ამ მწვერვალს და უცებ გაახსენდათ, რომ უნდა გამოიყენონ 1938 წლის 200-ათასიანი რუკა. გამოიყენეს ამ კონკრეტულ მონაკვეთზე და ამის მიხედვით აზერბაიჯანის მფლობელობაში მოექცა აღნიშნული სტრატეგიული და ასევე სამხედრო დანიშნულების სიმაღლე. მოვიდნენ დავით გარეჯთან, უდაბნოს და ჩიჩხიტურის მხრიდან და პირდაპირ ქედზე გამოატარეს საზღვარი მაშინ, როდესაც ქედის ქვევით, დაახლოებით 500 მეტრში უნდა გაეტარებინათ. სხვათა შორის, იქ აზერბაიჯანის მხარეს აშენებული აქვს სასაზღვრო პუნქტი, რომელიც, ამ რუკით რომ ვიხელმძღვანელოთ, ჩვენს ტერიტორიაზე ხვდება. სწორედ ესაა საეჭვო და ამ კითხვას ვუსვამთ: რატომ არ იხელმძღვანელეთ 1938 წლის რუკით? მოადგნენ ჩიჩხიტურს და მოადგნენ უდაბნოს. ამის საფუძველზე 2007 წელს აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დააყენეს უდაბნოში და იწყება მთელი ეს გაუგებრობა მას შემდეგ“.

მეგობრებო, როდესაც ამ არასასიამოვნო ამბავმა გამოჟონა, როდესაც ყურში ჩაგვჩურჩულეს, ლამის გარეჯის ნახევარს გვართმევენო, რამდენიმე ჟურნალისტი იმავე დღეს ავქანდით სადავო ქედზე. იქ აღელვებული მამაოები და ჩვენი მესაზღვრეები დაგვხვდნენ. კარგახანს ვისხედით ქედზე, საკითხიც განვიხილეთ, ისტორიაც გავიხსენეთ, თუ კარგად მახსოვს... მჯიღებიც ვირტყით გულის ფიცარზე, მუშტებიც ვიქნიეთ აზერბაიჯანის მიმართულებით. მერე გვითხრეს, დამშვიდდით, სპეციალური კომისიაა შექმნილი, ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა, ერთი მტკაველიც არ დაიკარგებაო... უფრო სწორედ,



ერთ მტკაველსაც არ დავთმობთო. თურმე სადა ვბანაობთ? თურმე მელაშვილები და ილიჩოვები თანახმანი არიან, 3500 ჰექტარი გააჩუქონ, გაყიდონ, გაანიავონ. არა, მელაშვილები და ილიჩოვები რომ ასეთ გრანდიოზულ ღალატს მიხეილ სააკაშვილის დავალების გარეშე ვერ ჩაიდენდნენ, ცხადია. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ჩვენ ამას ვერ შევეგუებით:

„რას ნიშნავს, შევეგუოთ და დავთანხმდეთ, დავით გარეჯის ნაწილის გასხვისებას? 3600 ჰექტარი მიწა არის გადაცემული არამართლზომიერად. ეს არ არის ღალატი, მეგობრებო? ვფიქრობ, ნორმალურ, ძლიერ სახელმწიფოში ასეთი პოლიტიკური ორგანიზაცია უბრალოდ დაიხურებოდა, როგორც მინიმუმ. ვისაც დაუმტკიცდებოდა დანაშაული, პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ალბათ სამუდამო ციხე დაემუქრებოდა. გამოვიდა ეს ბოროტი მასხარა სააკაშვილი და



ვერსია მისცა პირდაპირ პროკურატურას, ჩემზე იტყვიან, 80 მილიონი დოლარი ავიღე გარეჯის გაყიდვაშიო. სად ნახეთ, ვინ თქვა, პროკურატურის ვერსიაში ითქვა, ჩემს წერილში არის, რომ სააკაშვილმა გაყიდა გარეჯი? ეს მან მისცა ვერსია გამოძიებას. მე ვამბობ ჩემს წერილში, რომ ჩვენთვის მოტივაცია უცნობია, ჩვენ გეუბნებით ფაქტს, ეს ფაქტი მოხდა, თქვენ გაარკვიეთ, ბატონებო. გამოვიდა ეს სულელი და თქვა, 80 მილიონის აღებას დამაბრალებენო“.

მიხეილს ახასიათებს ხოლმე წინასწარ საკუთარი უბედური თავის გაყიდვა, 8 წლის განმავლობაში უკვე იმდენჯერ მისცა პროკურატურას აღიარებითი ჩვენება, სისხლის სამართლის მილიონი საქმე უნდა იყოს აღძრული. ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, ეს სულელი თვითონ ლაპარაკობს, თორემ მაგისთვის ხელი არავის დაუდვიაო. როგორ გითხრათ... ირაკლი ამ ეტაპზე, სანამ გამოძიება არ დამთავრდება, ვერ იტყვის, თორემ ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ სააკაშვილი 80 მილიონს დიდი სიამოვნებით აიღებდა. აბა, საიდან ამდენი ფული? საიდან აფინანსებს თავისი სექტის წევრებს? საიდან აოხრია ფეშენებელური სასახლეები მსოფლიო მასშტაბით? საიდან აქვს მაგის ჩათლახ ბიძას (თემურ ალასანიას) მილიონები, ნიუიორკში რომ წამოკოტრიალებულა და იძახის, ბიძინა ივანიშვილის გაგორებაში მილიონს გადავიხდიო?!

საიდან და... გარეჯიდან, კოდორიდან, ახალგორიდან, სტრატეგიული ობიექტების გაყიდვიდან. კიდევ, 2008-ში ევროპა-აშშ-დან დახმარების სახით 4 მილიარდი დოლარი რომ გადმორიცხეს, იქიდან!

ამ აღიარების შემდეგ ტელეუბორნიებს ლამის ყოველდღე გამოჰყავთ აქოთებული მიხო და „აპრავებენ“, ეს ხელისუფლება რეებს როშავსო? რა გარეჯი, რომელი მინგეჩაურიო? რამდენიმე დღის წინ ნამაღლარი ისე გალიზიანდა, ე.წ. „მთავარი არხის“ ე.წ. ჟურნალისტს პირდაპირ მიახალა: გოგო, შენ დებილი ხარ თუ კრეტინი, ეგეთ შეკითხვებს რომ მისვამო?!

გაიგონეთ? ჯერ სადღაც გდია, როგორ ლაპარაკობს, ხელისუფლებაში რომ მოვიდეს, რას იზამს? რას და... ქვას ქვაზე არ დატოვებს, ეს ჩათლახი მაიმუნი. კიდევ კარგი, ამ ქვეყანას ბიძინა ივანიშვილი ჰყავს, ირაკლი ღარიბაშვილი ჰყავს, დავით ხიდაშელი ჰყავს... სხვებიც არიან, ყველას ვერ ჩამოვთვლი.

ვინ არის დავით ხიდაშელი, ეს მადლიანი ადამიანი, რომელმაც



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# 31 ოქტომბერი დიდი ლუსტრაციის დღეა...





ელემენტარული ჭეშმარიტებაა — ვისაც ირჩევ და ვისაც მხარს უჭერ, თვითონაც ის ხარ!

როცა „ნაცმოძრაობას“, ანუ მკვლელებს, ბანდიტებს, ყაჩაღებს, მოღალატეებს და ქვეყნის გამყიდველებს უჭერ მხარს, თვითონაც მკვლელი, ბანდიტი, ყაჩაღი, ქვეყნის მოღალატე და გამყიდველი ხარ და თუ საჭირო იქნება, მზად ხარ შენც ის გააკეთო, რასაც შენი რჩეულები აკეთებდნენ — მოკლა, დააყაჩაღო, გაძარცვო, სამშობლოს უღალატო.

მძიმე ბრალდებაა, არა?

არ არის ეს ბრალდება. ეს რეალობაა, ეს სიმართლეა და რაც არ უნდა ლამაზად შეფუთო შენი საქციელი, რამდენიც არ უნდა ილაპარაკო მაღალ მატერიებზე და როგორ მაღალფარდოვნადაც არ უნდა იღაღადო, ამ სიმართლეს ვერ გადაფარავ და ვერ დამალავ.

„ნაცმოძრაობის“ და მისი სატელიტების გვერდით დგომა შენი პიროვნებისთვის შენს მიერვე გამოტანილი მკაცრი განაჩენია.

არა აქვს მნიშვნელობა, კარგად მღერი თუ კარგად ცეკვავ, კარგ ლექსებს წერ თუ კარგად ხატავ, კარგი ექიმი ხარ თუ კარგი მსახიობი, თუ არჩევანის გაკეთებას ნაციონალების ან მისი განაყოფების სასარგებლოდ აპირებ, უბრალოდ, არ ხარ კარგი ადამიანი და იქ, შიგნით, სულში, რაღაც ვერ გაქვს წესრიგში...

31 ოქტომბერს ნათლად გამოჩნდება, რას წარმოადგენს საზოგადოება, რომელსაც დღეს, ამ კონკრეტულ დროში მოუწია ქვეყნის სადარაჯოზე დგომის რიგი.

31 ოქტომბერი ზუსტად დაახარისხებს და დაალაგებს ყველაფერს და ზუსტად გვამცნობს:

რამდენი ჭკვიანი და რამდენი სულელი ჰყავს ამ ქვეყანას...

რამდენი პატრიოტი და რამდენი მოღალატე ჰყავს...

„საერთო გაზეთი“








დოკუმენტები მოიძია? ვინ არიან ის ადამიანები, რომლებმაც ამ საშვილთაშვილო საქმეს მსვლელობა მისცეს?

ირაკლი ღარიბაშვილი: „მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ბატონ დავით ხიდაშელს, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ 25 წელია მოღვაწეობს შვეიცარიაში და 40 ქვეყანაში ოპერირებს მისი კომპანიები. ასევე ყველა იმ პატრიოტს, ვინც ჩართული იყო ამ საქმეში – ბატონ ნოდარ ხორბალაძეს, ბატონ თედო გორგოძეს, ჩვენს გმირ მამა კირიონს და რა თქმა უნდა, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომლის გარეშეც ეს საქმე არ განხორციელდებოდა.

ორიგინალი რუკა – ეს არის საბჭოთა კავშირის დროს „ენკავედეს" დროინდელი, ბერიას დროინდელი და ამ რუკების არქივი არის რუსეთი, რომელიც საბჭოთა კავშირის მემკვიდრეა. როგორ უნდა მოვიპოვოთ ეს არქივები ოკუპანტი ქვეყნიდან? ბატონ ბიძინას ვაყენებ საქმის კურსში, რომ საჭიროა ამ რუკების მოძიება და მალევე ვიღებ დავალებას, არის ასეთი პიროვნება – დავით ხიდაშელი, შვეიცარიაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, პატრიოტი კაცი, რომელსაც უნდა დავუკავშირდეთ და რომელიც, სავარაუდოდ, დაგვეხმარება. მას აქვს კარტოგრაფიული კომპანია. ბატონი დავითი გამორჩეული პატრიოტია, მან ბატონი ბიძინას დავალება მიიღო ძალიან დიდი სიხარულით. მის წარმომადგენელს შევახვედრე ბატონი ხორბალაძე. დაიწყო მუშაობა. ეს ხდება 2019 წლის შემოდგომაზე და სულ რაღაც რამდენიმე თვეში, 3 აპრილს, ჩამოგვდის რუკები, ორიგინალი, რუსეთის არქივიდან წამოღებული. გინდათ, სპეცოპერაცია დაარქვით. რეალურად, ოკუპანტი ქვეყნიდან გამოვიტანეთ ეს რუკა და არამარტო ეს რუკა. არ მაქვს უფლება, გავამჟღავნო სხვა უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც გვაქვს. ვფიქრობ, ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში ასეთი სპეცოპერაციის დამგეგმავი, ინიციატორი და შემსრულებლები, როგორც მინიმუმ, მადლობას იმსახურებენ. ჩემთვის ბატონი დავითის ქმედება გმირობის ტოლფასია“.




„გენიოსმა“ „ნაციონალებმა“ და მათთან გათანაბრებულმა პირებმა ერთი ამბავი ატეხეს – ხედავთო? ირაკლი ღარიბაშვილმა დოკუმენტები რუსეთიდან ჩამოიტანა, ხომ ვამბობდით, რომ აგენტიაო? ზოგიერთს სერიოზულად გაუჩნდა „პასუხგაუცემელი კითხვები“, რატომ რუსეთიდანო? აბა, საიდან? ძვირფასებო, ვინაიდან, მე არ მაქვს ამათი ნერვები, სადაც ამნაირი ბნელი შეგხვდებათ, აუხსენით, რომ ადრე, 1991 წლამდე არსებობდა საბჭოთა კავშირი, სადაც რუსეთის ჩათვლით, შედიოდა 16 რესპუბლიკა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირი ფლობდა უზარმაზარ ტერიტორიას ევროპასა და აზიაში. მას ჰქონდა გასასვლელი ზღვებსა და ოკეანეებში, უამრავი ბუნებრივი რესურსი, სოციალისტური ტიპის ეკონომიკა, განვითარებული სამხედრო მრეწველობით. საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას ჰქონდა თავისი ჰიმნი და ჰყავდა პარტიული მმართველობა. მართვა იყო ცენტრალიზირებული – ქვეყანას წინ სკკპ ცენტრალური ორგანოები უძღოდნენ, რომლებიც მართვის მთელ იერარქიას აკონტროლებდნენ. ჰოდა, აქედან გამომდინარე, ტერიტორიებსაც, როგორც ხოში ჰქონდათ, ისე ანაწილებდნენ. ამის გამო დავკარგეთ საინგილო. რაც შეეხება გარეჯს, რა თქმა უნდა, ეს საკითხიც უნდა გადაწყვეტილიყო კრემლში და რუკები თუ ნახაზები ინახება რუსეთის არქივებში. მართალია, ზოგიერთს ჰგონია, რომ ირაკლი ღარიბაშვილს დოკუმენტები ინდონეზიიდან უნდა ჩამოეტანა, მაგრამ გთხოვთ, ამ ბნელეთის მოციქულებს გადაეცით, ჯაკარტის არქივებში ვეძებეთ და იქ არ აღმოჩნდა-თქო. თუ არ დაგიჯერონ, ეგრევე მიახალეთ, არ მოგერიდოთ, ერთი თქვენი კეთილებიც მოვტ... ანით შეღავათიან ფასებში-თქო. მინდა ირაკლი ღარიბაშვილს, როგორც კახელს, წავეხმარო და ის სიტყვები ვთქვა, რისი თქმაც, ალბათ, ძალიან უნდოდა, მაგრამ როგორც თანამდებობის პირი, ვერ იტყოდა:

„ნაცებო“ და მათთან გათანაბრებულო პირებო, თქვე მოღალატეებო, ყაჩაღებო და მკვლელებო, მოგიტ...ანით კეთილები, შეღავათიან ფასებში!



**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# „ნაციონალური მოძრაობა“ ტერორისტული ორგანიზაციაა?

## დივერსიული აქტი ბათუმში

**მივმართავთ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს: ხომ არ გეჩვენებათ, ბატონებო, რომ ამ რეგვენი გრიგოლ ვაშაძის და მასთან ერთად ბათუმის მიტინგის სხვა ორგანიზატორების წინააღმდეგ დაუყოვნებლივ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.**



„ნაციონალური მოძრაობა“ ბოროტი და მავნებლური ძალაა!

„ნაციონალური მოძრაობა“ ქართველ ხალხს უპირისპირდება და მის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის!

— „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა გავიყვანოთ პოლიტიკური ველიდან!

მხოლოდ მცირე ნაწილია იმ უმკაცრესი შეფასებებისა, რაც „ნაცმოძრაობის“ მიერ ბათუმში გამართულ აქციას მიეცა, სადაც ადამიანები პირბადეების გარეშე, ყოველგვარი დისტანციის დარღვევით იღებდნენ მონაწილეობას.



აქციის ორგანიზატორებს, „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს, არანაირი ზომები არ მიუღიათ, რომ აქციის მონაწილეები გაეფრთხილებინათ, დაეცვათ უსაფრთხოების ზომები.

მათი მხრიდან არ ყოფილა არც მოწოდება, არც თხოვნა, რომ აქციის მონაწილეებს თუნდაც პირბადეები გაეკეთებინათ და ამით ნაწილობრივ მაინც შეემცირებინათ ის უდიდესი რისკი, რაც მოცემულ სიტუაციაში მსგავს შეკრებებს თან სდევს.

არც ის დაგვავიწყდეს, რომ ეს ამბავი იმ დროს ხდებოდა, როცა ბათუმი ეპიდემიის ერთ-ერთ მთავარ ცენტრად იქცა და მასთან ერთად დაავადებულთა და გარდაცვლილთა რიცხვი კატასტროფულად მატულობდა მთელ რეგიონში.

აქციას არა მარტო ბათუმელები, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებიც ესწრებოდნენ, რაც კიდევ უფრო აფართოებს კორონავირუსის გავრცელების არეალს მას შემდეგ, რაც ეს ადამიანები თავიანთ სოფლებსა და ქალაქებში დაბრუნდებიან.

ისინი შეიძლება მოსიარულე ბომბებად იქცნენ და მთელი ქვეყანა ერთბაშადააფეთქონ.

მიტინგზე გაირკვა, რომ აქციას ვერ დაესწრებოდა მისი ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი ლევან ვარშალომიძე, რომლის მამაც წინა დღეს კორონავირუსით გარდაცვლილიყო, თუმცა ამ ტრაგიკულმა ფაქტმაც ვერ გამოაფხიზლა და ვერ მოიყვანა გონს აქციის ლიდერები, რომლებიც ხმაჩახლეჩილნი გაჰყვიროდნენ სულელურ, დემაგოგიურ ლოზუნგებს და აქციაზე შეკრებილი ადამიანების ბრბოდ, აზროვნებადაკარგულ ჯოგად გადაკეთებას ცდილობდნენ.

მერე მონიტორზე სავსე მთვარესავით გაბადრული მიშა სააკაშვილი გამოჩნდა და მიტინგი გადაირია, განსაკუთრებით ქალბატონებმა მორთეს ჟივილ-ხივილი.

ჟივილ-ხივილი არ არის ის სიტყვა, რაც ზუსტად გამოხატავს იმ მდგომარეობას, რაშიც ეს ქალბატონები მიშას დანახვაზე ვარდებიან.

— მიშა! მიშა! მიშა! — რაღაცნაირი განწირული ხმით სკანდირებენ ქალბატონები და წივიან, კივიან, უცნაურად აღტყინებულნი და აღგზნებულნი უცნაურად როკავენ.

მსგავსი რამ აფრიკის უღრან ჯუნგლებში თუ შეიძლება მოხდეს, სადაც ჯერ კიდევ არ შეუღწევია ცივილიზაციას და სადაც ნახევრად ველური ტომები ტომის ბელადის დანახვისას ზუსტად ისე გამოხატავენ ემოციებს, როგორც ეს ქართველი ქალბატონები „ქართული“ ჯუნგლებიდან.

ამ სურათის დანახვისას არ შეიძლება არ შეგრცხვეს, თავი უხერხულად არ იგრძნო და ეჭვმა არ გაგკრას — ნუთუ ესა ვართ ქართველები, უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის ერად რომ მოგვაქვს თავი?

აფრიკის ჯუნგლებიო, ვთქვით, მაგრამ უკვე აფრიკის ჯუნგლებშიც არ იქცევიან ისე, როგორც ეს ჩვენი ძვირფასი მანდილოსნები იქცევიან.

დათა თუთაშხიასი არ იყოს, მართლაცდა, რას დაგამსგავსათ ამ მამაძაღლმა სეთურმა — სააკაშვილმა და როგორ წაგართვათ ღირსების გრძნობა, ის უმთავრესი ნიშან-თვისება, რითაც ქართველი ქალი ყოველთვის გამოირჩეოდა?

...მიტინგის დამთავრების შემდეგ, კითხვაზე: — ვის შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ საბედისწერო შედეგებზე, რაც — შეიძლება ყოველგვარი წესების დარღვევით ჩატარებულ ამ მიტინგს მოჰყვეს, ნაციონალების ლიდერმა და აქციის ერთ-ერთმა მთავარმა ორგანიზატორმა გრიგოლ ვაშაძემ ასე უპასუხა: მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება კორონავირუსს, წადით და მას დაელაპარაკეთო.

უფრო მეტი ცინიზმი, ქართველი ხალხის უფრო მეტი შეურაცხყოფა და აბუჩად აგდება შეიძლება?

მივმართავთ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს: ხომ არ გეჩვენებათ, ბატონებო, რომ ამ რეგვენი გრიგოლ ვაშაძის და მასთან ერთად ბათუმის მიტინგის სხვა ორგანიზატორების წინააღმდეგ დაუყოვნებლივ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

სხვათა შორის, კანონი გავალდებულებთ თქვენ ამის გაკეთებას, კანონი, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევს ამა თუ იმ ავადმყოფობის ხელოვნურად, მიზანმიმართულად გავრცელების მცდელობას.

საქართველოს ღალატში, ქართული მიწების გასხვისება-გაყიდვაში ეჭვმიტანილმა სააკაშვილმა კატეგორიული ტონით განაცხადა, რომ „ნაცმოძრაობა“ კვლავ აპირებს მსგავსი ფორმატის მიტინგების გამართვას, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მისთვის სულერთია მთელი საქართველოს მოსახლეობა, „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებიანად თუ მოწინააღმდეგებიან, არჩევნებამდე ამოწყდება თუ არჩევნების შემდეგ, ოღონდ საკუთარი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას მიაღწიოს.

არსებობს მსოფლიოს წამყვანი ფსიქიატრიული კლინიკების დასკვნა, რომ სააკაშვილი ფსიქიურად გაუწონასწორებელი ადამიანია, ასევე არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გრ.ვაშაძესაც სერიოზული ფსიქიური პრობლემები აქვს.

„ნაცმოძრაობის“ სხვა ლიდერების თუ საშუალო რგოლის წარმომადგენელთა მიერ ჩადენილ უამრავ შემაძრწუნებელ დანაშაულებებსაც თუ გავიხსენებთ, დავრწმუნდებით, რომ ამ ე.წ. პოლიტიკურ ორგანიზაციაში საკმაოდ მრავლად იყვნენ და დღემდე არიან ადამიანები, რომელთა ადექვატურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

რა ჰქნას საქართველომ? შორიდან უყუროს როგორ მოაოხრებენ ნაცები ბოლომდე მათ მიერ არაერთგზის მოოხრებულ ქვეყანას თუ რაღაც ზომები უნდა მიიღოს მათი სადისტურ-მანიაკალური ქმედებების აღსაკვეთად?

ხელისუფლების წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ ბათუმში მომხდარი საგანგაშო ამბავი, ეს იყო კარგად დაგეგმილი დივერსიული აქტი.

უფრო მეტიც — თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად, ეს იყო ტერორისტული აქტი, რომლის დამანგრეველი და კატასტროფული შედეგები სულ მალე შეიძლება ვიხილოთ.

ყოველივე ამის შემდეგ, რამდენად შეიძლება გამართლებული იყოს, რომ ამ დივერსიული თუ ტერორისტული აქტის ავტორების მიმართ არავითარი ზომები არ იქნას მიღებული და ქვეყანა მოსალოდნელი ახალი დივერსიების პირისპირ მარტო დავტოვოთ?

ჩვენი აზრით, არასწორი და გაუმართლებელია შიში იმის შესახებ, რომ მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა „ნაცმოძრაობის“ თუ სხვა პარტიების მიერ კანონსაწინააღმდეგო, საზოგადოებისთვის სახიფათო ქმედებების აღსაკვეთად, შეიძლება აღქმული იქნას, როგორც არჩევნების წინ პოლიტიკური აქტივობის, გამოხატვის და სიტყვის თავისუფლების, შეკრებების და მანიფესტაციების შეზღუდვა.

ადამიანის უფლებათა დეკლარაცია იწყება ასე: ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება.

სიცოცხლის უფლებაა ყველაზე მთავარი, ყველაზე უპირველესი, ყველაზე უზენაესი უფლება და ყველაფერი დანარჩენი, რაც ამ უფლებას ხელყოფით და განადგურებით ემუქრება, ბოროტებაა.

პოლიტიკური საქმიანობის ნიღბით შენიღბული ნაცმოძრაობის ქმედებები, სინამდვილეში, პოლიტიკა კი არა ბოროტებაა, კრიმინალია და მას ისე უნდა ვებრძოლოთ, როგორც ბოროტებას და კრიმინალს.

თუ ბოლომდე გულწრფელები ვიქნებით, „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური ორგანიზაცია არც არასდროს ყოფილა — ის ბანდაა, მაფიაა, დანაშაულებრივი სინდიკატია, რომელმაც საქართველოს უზარმაზარი ზიანი მიაყენა.

აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა აიკრძალოს, „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებიდან უნდა მოიხსნას, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად არის შესაძლებელი ეს ახლა, როცა არჩევნებამდე სულ რაღაც ათი დღე დარჩა.

ქვეყნის ასაშენებლად ათი დღე საკმარისი არ არის, მაგრამ ქვეყნის დასანგრევად ათი დღე სრულიად საკმარისია.

„ნაცმოძრაობა“ ყველაფრის მკადრებელი, ყველაფერზე წამსვლელი ძალაა. ის შეეცდება ამ ათი დღის განმავლობაში მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი გამოიყენოს, აამუშაოს ყველაზე ბინძური მეთოდები, რომ ქვეყანაში ქაოსისა და არასტაბილურობის წინაპირობები შექმნას, არჩევნების მომდევნო დღეებში კი პროცესები უკიდურესად გაამწვავოს.

ეს ათი დღე ყოფნა-არყოფნის ათი დღეა!

ამიტომაც: ფხიზლად იყავი, საქართველო!

„საერთო გაზეთი“

**P.S. კვირას, 18 ოქტომბერს ოზურგეთში გამართულ მიტინგზე ნაციონალები უკვე დაჭკვიანებულები ჩანდნენ — ლიდერებსაც და აქციის მონაწილეებსაც პირბადეებიც ეკეთათ და დისტანციასაც იცავდნენ.**

**ეს კარგია, მაგრამ ეს რას უშველის ბათუმში მომხდარ დივერსიულ აქტს?**

**ნაცებმა მიტინგზე მაჟორიტარობის კანდიდატად მოჭიდავე მანუჩარ კვირკველია წარადგინეს.**

**მანუჩარი სახელოვანი სპორტსმენია, 5 შვილის მამა, როგორც ამბობენ, წესიერი და პატიოსანი ადამიანია.**

**ნაცმოძრაობისთვის ყველა კარგი ქართველი გვენანება და მათ შორის გვენანება მანუჩარ კვირკველიაც.**

**დრო მოვა და როცა ქართული ნიუნბერგის პროცესი შედგება, სადაც „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული გამოაშკარავდება, ამ ადამიანებს აუცილებლად შერცხვებათ, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო ამ დამნაშავე ელემენტების გვერდით დადგნენ და მათ თანამებრძოლებად იქცნენ.**

**„ს.გ.“**

# ცდება, ვისაც ჰგონია რომ, „ნაციონალები“ გამარჯვებისთვის იბრძვიან

## „ნაციონალები“ გამარჯვებისთვის კი არა გადარჩენისთვის იბრძვიან, რომ მათ მიერ ჩადენილ უამრავ დანაშაულზე პასუხი არ აგონ



*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, წინასაარჩევნოდ პარტიებმა მოსახლეობა თავიანთ დღის წესრიგში ჩააბეს. არჩევნებში მონაწილეობას 60 პარტია იღებს. საინტერესოა, რას ემყარება მათი პოზიციები? დაპირებები უხვად გაიცემა, თუმცა ამის უკან არავითარი პასუხისმგებლობა არ დგას. 30 წელია ასეა — დაპირებების შეუსრულებლობის გამო პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ.**



— დიახ, ასე უსასრულოდ გაგრძელდება. საქმე იმაშია, რომ თითქმის, ყველა ქვეყანაში პოლიტიკოსები ბევრად მეტს პირდებიან ადამიანებს, ვიდრე ასრულებენ. მეტ-ნაკლებობა შესრულების ხარისხშია. ჩვენთან, დაპირებების შეუსრულებლობის ხარისხი ძალიან მაღალია. მიზეზი რა არის — უცხოეთში უფრო პატიოსანი ხალხია, ვიდრე ჩვენთან?! — მეეჭვება, ასე იყოს. საქმე ისაა, რომ მათთვის პოლიტიკური პასუხისმგებლობა პოლიტიკური მდგომარეობის, სტატუსის დაკარგვას ნიშნავს. ასე მოხდა 2012 წელს სააკაშვილის შემთხვევაში. საზოგადოებამ მას უარი უთხრა და სხვა აირჩია. ეს არის სასჯელი. უცხოეთში, პროცენტულად, მოსახლეობას ნაკლებად ატყუებენ. იქ, პარტიების რეიტინგები, პოპულარობა ერთმანეთთან ახლოს დგას. თუ ერთ პარტიას ფეხი აუცდა, მეორე, ამით, მაშინვე სარგებლობს. სპორტს თუ შევადარებთ, როცა ძალები თანაბარია, მაშინ მცირე შეცდომაც მეტოქის გამარჯვებით მთავრდება. ჩვენთან, რეიტინგების თვალსაზრისით, ასეთი სიახლოვე არ არის. აქ, უარესიც კი არის. ახლა, „ქართული ოცნება“ რომ დამარცხდეს, რიგში ისეთი პარტია დგას, რომელიც მოსახლეობას, კატეგორიულად, არ უნდა. ვგულისხმობ, „ნაციონალებს“. ალტერნატივები არ ჩანს, ამიტომ, დაპირებებიც ადვილად კეთდება. დაპირებებს უფრო ადვილად ისინი აკეთებენ, ვისაც ხელისუფლებაში მოსვლის შანსიც არ აქვს. მაგალითად, უცხოეთში ითვლიან რამდენს დაჰპირდნენ საზოგადოებას და რა შეასრულეს. პოლიტიკოსმა, შეიძლება, დაპირებების 20%-მდე არ შეასრულოს. ჩვენთან, არც ითვლიან — შეფასება იმისა, პოლიტიკოსის დაპირებებიდან, რა შესრულდა და რა არა, პრაქტიკულად არ ხდება. ამიტომ, არც არჩევნების ბედი წყდება-ხოლმე ამის მიხედვით.

**— სინამდვილეში, ეს საზოგადოების გამოცდა ხომ არ არის. ანუ, მთავარი ის კი არ არის რა პარტიებია ქვეყანაში, არამედ რა საზოგადოებაა. ამას აჩვენებს არჩევნები, ხომ?**

— დიახ, რა თქმა უნდა. ისევე, როგორც ადამიანის ყველა ქცევა მის პიროვნებაზე მეტყველებს, საზოგადოების ნებისმიერი საქციელი, მათ შორის, პოლიტიკური, რა თქმა უნდა, იმაზე მეტყველებს თუ რა საზოგადოება გვყავს. მაგრამ ეს ასევე, მეტყველებს იმაზეც, ზოგადად, ქვეყანაში როგორი მდგომარეობაა. ვერ ვიტყვი, რომ საზოგადოების დონე, ჩვენთან შედარებით, სხვა ქვეყნებში ძალიან მაღალია. ეს, უკვე, ძნელი სათქმელია, რადგან სულ ამერიკას ვედარებოდით და აგერ, ვხედავთ რაც ხდება — მისი საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი ძეგლებს რას უშვება, შეურაცხყოფაზე აღარაფერს ვამბობ. როგორც ჩანს, იქაც, საზოგადოების მაღალი დონით დიდად არ არიან განებივრებულნი. საფრანგეთზეც იგივე შეიძლება ითქვას — ყველას გვახსოვს, ყვითელჟილეტიანებმა პარიზში რა „ხანძარი“ დაანთეს. ასეთი რამ ჩვენთან რომ ხდებოდეს, ვიტყოდით: რა დაბალი დონეაო.

**— ამერიკის და საფრანგეთის მაგალითები გაიხსენეთ. მაინც, რა დონეა ჩვენთან, რა საზოგადოებაა ქართული საზოგადოება?**

— მახსენდება, რუსთაველზე კარვების ქალაქი. ამ პერიოდში თბილისს უცხოელები სტუმრობდნენ, რომელთაც ქართველებმა თავმომწონედ უთხრეს: ჩვენთან, ფოთოლიც კი არ შერხეულაო. კარვები კი იყო გაშლილი, მაგრამ ამას აგრესია არ მოჰყოლია. უცხოელებს გაუკვირდათ: ფოთოლი თუ არ შერხეულა, აბა, რისი საპროტესტო აქციაა, რით უნდა აიძულოთ ხელისუფლება რომ თქვენს მოთხოვნებს დაჰყვესო. მათთვის წამყვანი იძულების მომენტია. საქართველოში, შეიძლება, არ არის ისეთი სოციალური ვითარება, როცა ადამიანთა დიდ მასას ხელისუფლება ტერორში ჰყავს. ამ შემთხვევაში, ერთადერთი, „ვარდების რევოლუცია“ შეიძლება გავიხსენოთ და მაშინაც, როგორც ირკვევა, არც ისე ბევრი ხალხი იყო, რამაც ეს გადატრიალება შესაძლებელი გახადა. ზოგადად, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, პოლიტიკურ პროცესებში, მეჩვენება, რომ მასშტაბიან ძალადობას საქართველოში პოლიტიკოსები უმეტესწილად თავს არიდებენ როგორც ერთი ისე მეორე მხრიდან იმიტომ, რომ ძალადობა, თვითონ, საზოგადოებისთვის არის მიუღებელი. ქართველი, როგორც გითხარით თავს იწონებდა: ფოთოლიც არ შეგვირხევიაო. რატომ იწონებდა ამით თავს? — იმიტომ, რომ მიაჩნია: მან ძალა თუ არ იხმარა, ეს მისი კულტურის მაჩვენებელია. მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის კულტურულად მოქმედება უფრო მისაღებია. მას სურს, რომ პოლიტიკური ელიტა კულტურული იყოს და ველურივით არ იქცეოდეს.

**— საზოგადოების კულტურული ქმედებანი და პარტიები, რაც სახეზე გვყავს, რამდენად ადეკვატურია ერთმანეთთან. ჩვენი კულტურული მოქმედებები იმ პარტიებს წარმოშობს, ვინც დღეს გვყავს?**

— საკითხი სწორად დააყენეთ. ამიტომ, ვაყოლებდი მისამღერივით ყველა ფრაზას: საზოგადოების დიდი ნაწილი-მეთქი. არსებობს, სხვა ნაწილიც, საზოგადოების სხვა ფრთა, რომელსაც პირიქით, აგრესიულობა მოსწონს. ეს ის ფრთა და ის ნაწილია, რომელიც მუდმივად „ნაციონალებს“ აძლევს ხმას. ისინი აგრესიულები არიან. ადამიანებში აგრესიულობა იშვიათობა არ არის, მაგრამ როცა სხვის აგრესიულობას უყურებენ, ეს, შეიძლება არ მოეწონოთ. მაგალითად, პუტინი ცუდია, ოკუპანტია, მაშინ უნდა შეაგინო, შარვალი ჩაიხადო და აჩვენო და ა.შ. ანუ, აგრესიის უკულტურო ფორმები მისაღებია თუ სამართლიანია?! კი ბატონო, რუსეთი ოკუპანტია და რა თქმა უნდა, საქართველოსთვის ყოველგვარი შელამაზების გარეშე მტერია. მაგრამ შარვალს რომ ჩაიხდი და მტერს შეაგინებ, ეს შენი კულტურის შეურაცხყოფა უფრო არის, ვიდრე რუსეთის.

**— რა კრიტერიუმებით ირჩევს ამომრჩეველი. მაგალითად, რა მოსწონთ „ნაცების“, მათ ხომ უამრავი რამ გააფუჭეს და ახლაც, ამბობენ, რომ იგივეს გავაკეთებთო. საზოგადოების ის ნაწილი რომელიც მათ ხმას აძლევს მათნაირია?**

— არ ვიცი რამდენად მათნაირია იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობა“ საკმაოდ მრავალფენიანი მოვლენაა. რატომ გამოვყავი ასე? — იმიტომ, რომ ვინც „ნაცმოძრაობას“ ემხრობა, ბევრი მათგანისთვის მოტივი შემდეგია — „ნაცები“ ებრძვიან რუსეთს. ეს ერთ-ერთი წამყვანი მოტივია. მაგრამ „ნაცებში“ არის ასევე სხვა ფენა, რომელიც მხარს უჭერს „ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკოსების იმ აზრს, რომ ისინი სიტყვით ებრძვიან რუსეთს, თორემ, საქმით ყველაფერს ისეთს აკეთებენ, რაც რუსეთს სჭირდება — საკვანძო ობიექტები გადასცეს საკუთრებაში, ომი დაიწყეს და 5 დღეში დაამთავრეს იმიტომ, რომ პუტინს საშუალება მისცეს ეს ტერიტორიები ეღიარებინა და ა.შ. მათ უამრავი რამ აქვთ პრო-რუსული გაკეთებული. დიახ, „ნაცებში“ ასეთი ფენაც არსებობს. ეჭვი არ მეპარება: ის ვინც პირველ, ზედაპირულ შრეს უყურებს და ასეთი „ნაციონალები“ მოსწონს, მას, შეიძლება, მეორე ფენის არსებობა არც სჯერა. ყველგან ფიგურირებს აზრი, რომ „ნაციონალები“ რუსებზე მუშაობენ, მაგრამ ეს მათ მხარდამჭერებზე არ ჭრის იმიტომ, რომ მათთვის ეს ზედა ფენა გადამწყვეტი აღმოჩნდა და სწორედ ამაზე კონცენტრირდა მათი პოლიტიკური ორიენტაცია.

**— „ნაცები“ საზოგადოების „სურვილებს“ ასრულებენ. როგორც მამაკაცი ქალის მოხიბვლისას მას იმ სიტყვებს ეუბნება, რაც მოეწონება.**

— დიახ, შეიძლება სულ არ არის ის ქალი შენთვის ლამაზი, მაგრამ კომპლიმენტს ეუბნები, რათა მისი გული მოალბო.

**— გამოდის, საზოგადოება და მისი არჩევანი ყოფილა მთავარი და არა პარტიები?**

— რა თქმა უნდა, საზოგადოებაა მთავარი. საზოგადოებას შევხედოთ არა როგორც ქრისტიანულ მასას, არამედ როგორც მოზაიკას. „ნაციონალებმა“ ეს დიდი მონაკვეთი იპოვეს და მუდმივად ცდილობენ შეინარჩუნონ. სხვა პარტიებმა ეს ვერ მოახერხეს. სხვა პარტიების მიმართ ძნელია იმის თქმა, რომ მათ რომელიღაც სეგმენტი დაკავებული აქვთ. მეტ-ნაკლებად თუ ვინმეზე ამის თქმა შეიძლება, ეს გახლავთ „პატრიოტთა ალიანსი“. მათ გარკვეული სეგმენტი უკავიათ — საშუალოზე უფროსი ასაკის ხალხი და რუსეთზე ნოსტალგიის მქონენი. მეორე მხრივ, არის „გირჩი“, რომელსაც ახალგაზრდების სეგმენტი უკავია და თავის მარიხუანით და არაორდინალური გამოსვლებით სწორედ ამ ახალგაზრდობის მოთხოვნებს ეყრდნობა. დანარჩენი სამოცი პარტია რას აპირებს, ძნელი სათქმელია.

**— „ქართულ ოცნებას“ რა სეგმენტი უკავია?**

— კარგი, დამაფიქრებელი კითხვაა. არ ვიცი, თავად „ქართულ ოცნებაში“ ამაზე რამდენად ფიქრდებიან. 2012 წლიდან დღემდე „ქართულ ოცნებას“ ანტიმიშას სეგმენტი უკავია. ეს არც ასაკია, არც პროფესია. ამიტომ, მას, რეალურად, მიშას არსებობა სჭირდება. იმიტომ, რომ მიშა თუ არ იქნა, მას სააკაშვილთან დაპირისპირების ფუნქცია დაეკარგება. თუმცა,



7 გვ. →

# „ნაცმოძრაობის“ სამი კუდი, ანუ მრავალსახეობა ოპოზიციად წოდებული ფარშევანგებისა



### ნინო ბურჯანაძე

ამ პოლიტიკის „ფრიად მცოდნე“ ბანოვანმა, მარტო დავით გარეჯთან დაკავშირებით კი არ დაგვამახსოვრა თავი საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო განცხადებებით, რაც საკუთარი თავისა და თანამეცხედრის „გაპრავებას“ უფრო ემსახურება. მოგეხსენებათ, პრეზიდენტყოფილი სააკაშვილის მოღალატეობრივი შეთანხმების დროს აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან, ქალბატონი ბურჯანაძე პარლამენტის სპიკერი გახლდათ, ბადრი ბიწაძე კი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შეფი. ამ ადგილობრივ „მარგარეტ ტეტჩერს“, როგორც თავად წარმოუდგენია თავი, 20–21 წლის წინაც იგივე, რბილად რომ ვთქვათ, გულგრილი პოზიცია ჰქონია საქართველოს საზღვრების მიმართ, ოღონდ ამ შემთხვევაში საქართველო-რუსეთის საზღვრის ხევსურეთის მონაკვეთზეა საუბარი. დროის სიმცირის გამო, ამ ეტაპზე ვერ მოვიძიეთ 1999 წლის პრესა, განსაკუთრებით მის ფლაგმანობასა და ობიექტურობაზე პრეტენზიის მქონე მედიასაშუალების არქივი, რომ მკითხველისთვისაც მიგვეწოდებინა ორიგინალი, როგორი თავდასხმა მოდიოდა ჩვენს რესპოდენტზე, ისტორიკოსსა და სასაზღვრო ჯარების პოლკოვნიკ **გელა ხუციშვილზე**. სხვა „პროფესსიონალ-პატრიოტებთან“ ერთად, თურმე ქალბატონი ბურჯანაძეც ენამახვილობდა, ხუციშვილმა მოქექა რაღაცა საბუთები და ამტკიცებს, რომ არღუნის ხეობა (შატილის მონაკვეთი) ჩვენია, არადა ეს რუსეთის ტერიტორიააო. რესპოდენტი, რომელსაც მოცემულ პერიოდში საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ეკავა აცხადებდა, რომ არღუნის ხეობის თემასთან დაკავშირებით, პოზიცია არ დათმო, კატეგორიულად ითხოვდა ექსპერტთა ჯგუფის 1999 წლის 21 მაისის შეთანხმების გაუქმებას. ამის გამო, ლამის მთელი ხელისუფლება დამიპირისპირდა, შატილის მონაკვეთზე, არღუნის შესართავთან საზღვარი 750 მეტრით ჩვენს ტერიტორიაზე შემოიტანეს, დავკარგეთ სოფელი ფიჭვნი, 10 კვ.მ ტერიტორიაო. გარდა ამისა, თავად პოლკოვნიკ ხუციშვილსაც მოუწია თანამდებობის დატოვება. ვინმეს ეჭვი რომ არ გაუჩნდეს, რა შუაში იყო მაშინ ნინო ბურჯანაძეო, შეგახსენებთ, რომ ეს ქალბატონი 1995 წელს შევიდა პარლამენტში მოქალაქეთა კავშირის პარტიული სიით, 1995–98 წლებში პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გახლდათ, 1998–99 წლებში ამავე კომიტეტის თავმჯდომარე. ბურჯანაძე შემდეგი მოწვევის პარლამენტშიც შევიდა, რა თქმა უნდა შევარდნაძის პარტიის სიით, საგარეო ურთიერთობა კომიტეტს ხელმძღვანელობდა, სანამ „ვარდების რევოლუციის“ გენერალური რეპეტიცია არ ჩაატარეს 2001 წლის შემოდგომაზე, აქაოდა, თავისუფალ სიტყვას ებრძვიან „რუსთავი-2“-ის მაგალითზეო. მაშინ „თავისუფლებისთვის ბრძოლას“ მაშინდელი გენპროკურორის, შს მინისტრისა და უშიშროების მინისტრების თანამდებობებთან ერთად, ამ „ბრძოლის“ სულისჩამდგმელი ზურაბ ჟვანიას პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელიც შეეწირა. 2001 წლის 10 ნოემბერს ქალბატონი ბურჯანაძე მოგვევლინა პარლამენტის სპიკერად. ეს თანამდებობა მეორედაც დაიკავა 2004 წლის არჩევნების შემდეგ და 2008 წლის ივნისამდე იჯდა სპიკერის სავარძელში, გარდა ამისა, ორჯერ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელიც გახლდათ. ასე რომ, „პოლიტიკა იცის და რა ქნას“ ბურჯანაძე მეტნაკლებად მონაწილეა ყველა იმ „გმირობის“, რასაც ნაცრეჟიმი ახორციელებდა ამ ქალბატონის სახელისუფლებო იერარქიაში ყოფნის დროს.

ღიმილის მომგვრელია ბურჯანაძის თანაპარტიელებისა თუ მხარდამჭერების უსუსური ფაფხური სოციალურ ქსელში, რომ როგორმე „გააპრავონ“ ნინო „დიდი“ ქველმოქმედის“ ასული, რომ ის დიდი პოლიტიკოსია, რომ ბევრი მხარდამჭერი ყავს და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შიდა-გარე პრობლემებს უმაღლეს დონეზე დაალაგებს. საზოგადოებას უჩემოდაც კარგად მოეხსენება ამ ქალბატონის პოლიტიკური რეიტინგი, მხოლოდ მხარდამჭერების „სიმრავლეზე“ მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას. ცნობისთვის, მაშინ ჯერ არ იყო „ქველმოქმედის“ ასე მჭიდროდ შერწყმული კოლექტიურ ნაცებს და არც შალიკოს ფანჩატური ჩანდა ჰორიზონტზე, როცა მცხეთაში ამ ქალბატონის პარტიის ოფისს სათოფედ არ ეკარებოდა არავინ, ენაკვიმატი მცხეთელები ხუმრობდნენ, ბურჯანაძის ოფისში ხალხი „პივის“ დასალევად და ნარდის სათამაშოდაც კი არ შედისო. ბურჯანაძის ერთმა თავგადაკლულმა მხარდამჭერმა სოციალურ ქსელში პოსტი გააზიარა, სადაც ავტორი წერს, რომ ედუარდ შევარდნაძის ცეკას მდივნობის დროს, 1976 წლის 16 მაისს დაწესდა სახალხო დღესასწაული გარეჯობა, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი თავისი ტაძრებით, საეკლესიო დანიშნულების შენობა-ნაგებობებით და მიმდებარე მიწის ნაკვეთებით ისტორიულ მუზეუმ-ნაკრძალად გამოცხადდა. აღორძინდა გარეჯის ზეგანზე მდებარე სოფელი უდაბნო, დაიწყო დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ყველა ტაძრის აღდგენა... რა გამოდის, შევარდნაძემ უცხო სახელმწიფოს ტერიტორია გამოაცხადა მუზეუმ-ნაკრძალადო? გურულმა „ფრენდმა“ დაპოსტა, დაგჭირდათ ჩემი „ზემლიაკი“ შევარდნაძე, იქნებ ეს საქმე მაინც ჩაეთვალოს ერის სიკეთისთვის გაკეთებულ საქმეში... ეს ის შევარდნაძეა, რომელმაც ნინო ბურჯანაძეზე თქვა, რომ მისი პოლიტიკოსობა უკვე დამთავრდა სამუდამოდ... ანზორაც (იგულისხმება „დიდი ქველმოქმედი“) ლანძღავდა 2003 წელს შევარდნაძესო. გამგე-



ბი გაიგებს, რისი თქმაც უნდა ამ ადამიანს. ბურჯანაძის მარადმწვანე „გამპრავებელი“ უცნობი ავტორის პოსტს „იშველიებს“, რომელიც „ღაღადებს“, რომ ახალი და ძლიერი ლუსტრაცია ახლა მიმდინარეობს. არავინ გაბედოს ქვეყნისთვის საზიანო და საქართველოს იურიდიულად დამტკიცებული საზღვრების ხელმყოფი ქმედება! ასეთ ქმედებად მიიჩნევა აზერბაიჯანთან 1938 წლის ე.წ. სასაზღვრო შეთანხმებისა“ და შესაბამისი რუკის ჭეშმარიტებად შემოჩეჩება. რა თქმა უნდა უპატიებელი დანაშაულია თუნდაც ამ რუკის გადამალვით „საზღვრის“ საქართველოს საზიანოდ შეცვლის მცდელობა (რაც წინა ხელისუფლების სათავეში მყოფის და არა ქვედა რგოლის რომელიღაც ჭანჭიკთა ბრალეული ქმედება), მაგრამ ბევრად უფრო დიდი მიუტევებელი დანაშაულია, 1920 წლის 7 მაისის საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულებისა და რუკის გადამალვაო. თურმე ამ „კონტინგენტისთვის“ 1938 წლის დოკუმენტაცია არ არის მტკიცებულება, მხოლოდ მოლაპარაკებებით უნდა გადაწყდესო, ამტკიცებს ბურჯანაძის „ადვოკატი“. „ჭანჭიკების“ დონეზე რომ არ წყდებოდა, ჩვენც ვხვდებით, ხელისუფლების სათავეში მყოფი მეორე ფიგურა კი, ზუსტად ნინო ბურჯანაძე გახლდათ. „მოლაპარაკებებსა“ და „ყველას ინტერესის“ გათვალისწინებაზე „ბრტყელ-ბრტყელი“ წინადადებებით მოსაუბრეებს რომ ვუსმენ, რაც ყოველთვის საქართველოს ინტერესების უგულვებელყოფას ემსახურება, სურვილი მიჩნდება ლევან თედიაშვილის პერსონაჟის ფრაზით ფილმიდან „ხარება და გოგია“ ვუპასუხო, ნეტა რას მიაცმაცობთ, თქვე მართლა ჩაჩნებო! .

### ცეზარ ჩოჩელი

ვერ იქნა და ვერ დამშვიდდა ეს „წარმატებული“ ბიზნესმენი, ქვეყნის ნახერხემლარ მერაბიშვილის „მოურავი“ და ბლუყუნა-ვანოს „სვაბოდაზე“ გამოსვლის შემდეგ მეორე „დიხანია“-გახსნილი ჩოჩელი. 2016 წლის არჩევნების დროს თუ მისმა მცხეთის მაჟორიტარობამ ჩაილურის წყალი დალია, ახლა მთელი მცხეთა-მთიანეთის „რჩეულობაზე“ აქვს პრეტენზია და „მუხლჩაუხრელად“ შრომობსო. „ავ ენებს“ თუ დავუჯერებთ, ამ „შრომაში“ იმ კონტინგენტის ნარკოტიკით მომარაგებაც იგულისხმება, რომელსაც ფრიად მოწონს „ნირვანაში ლივლივი“. ოთხ კაცზე ერთი გრამი, ოღონდ „მარიხუანა“ ან სხვა ასე ვთქვათ, ბუნებრივი ნარკოტიკზე არაა საუბარი, მოსაწევი რაღაც ბიონარკოტიკია, რომელიც ჯანმრთელობაზე დამანგრევლად რომ მოქმედებს ეს ერთია, მაგრამ ამ ნარკოტიკის თრობის ქვეშ მყოფ ადამიანს ფსიქიურად შეურაცხადის სიმპტომები აქვს, ისე აქვს გონება გადაკეტილი, რომ შეიძლება ადამიანიც მოკლასო. ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, უბრალოდ, მიღებულ ინფორმაციას ვასაჯაროებთ, დანარჩენს ხელისუფლებამ და სამართალდამცავმა სტრუქტურებმა მიხედონ. სანდო წყარომ სხვა ძალზე საინტერესო ინფორმაციაც მოგვაწოდა, თუ როგორ ემზადებიან ნაცები ამ არჩევნების დროს არეულ-დარეულობისა და ქაოსის მოსაწყობად, რომ ან საერთოდ ჩაიშალოს არჩევნები, ანდა მერე იძახონ კოლექტიურმა ნაცებმა, რომ არჩევნები გააყალბეს, თორემ ისინი გაიმარჯვებდნენ. მცხეთა-მთიანეთში რომელიმე საარჩევნო უბანზე, შეიძლება რამდენიმეზეც და იგივე იქნება მთელი ქვეყნის მასშტაბითაც, ვინმე ავტომატიან პიროვნებას მიაგზავნიან, რომ იქ გასროლა განახორციელოს ხალხის დასაშინებლად და პანიკის გამოსაწვევად, შეცვივდება გარკვეული ჯგუფი უბანზე, ან ყალბ ბიულეტენებს ჩაყრიან ურნაში, ანდა საერთოდ გაიტაცებენ. მერე ამ ყველაფერს ხელისუფლებას დააბრალებენო. ნაცების ასეთი „გმირობები“ ბევრი გვახსოვს, ამიტომ არც გაგვიკვირდება, რომ ასეთი პროვოკაციები იგეგმებოდეს, მით უმეტეს, რომ ჯალათების სექტას არავითარი შანსი არ აქვს კანონიერი გზით ხელისუფლებაში დაბრუნების. ამ ინფორმაციამ 2012 წლის არჩევნები გამახსენა, როცა ხაშურის ერთ-ერთ უბანზე ასე შევარდა ავტომატიანი „პერსონა“ და არეულობა მოაწყო. მოგვიანებით ახლობელმა, რომელიც ნაციონალების მმართველობისას ძალოვან სტრუქტურაში მუშაობდა მითხრა, რომ ის „მსროლელი“ კუდ-ის სპეცრაზმის თანამშრომელი იყო. ამგვარი „სპექტაკლის“ დადგმა ნაცებს მთელი საქართველოს მასშტაბით უნდოდათ, მაგრამ ვერ გაბედეს. მაშინაც ვისაუბრეთ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან და რვა წლის თავზეც გავიმეორებთ, რომ როგორც სანდო და კომპეტენტურმა წყაროებმა მოგვაწოდა ინფორმაცია, ნაცებს თურმე „საბრძოლო ჟინი“ იმ იმ რუსულმა ბეტეერებმა და ტანკებმა დაუცხრეს, რომლებიც ყოველ საღამოს ფარებანთებული და დაქოქილი იდგა ახალგორის მიმდებარედ. ნაცები თუ არ დაშოშმინდებოდნენ, არ მიიღებდნენ არჩევნების შედეგებს, ეს ეს საბრძოლო ტექნიკა დედაქალაქამდე ჩამოვიდოდა და მერე ნაცჯალათებს კოჰაბიტაციაზე აღარც უნდა ეოცნებათ, „წითელ ხიდთან“ და ლაგოდეხთან მერე გენახათ რიგებიო.

რა „საქმიან“ ურთიერთობებში იყო ეს „წარმატებული“ ბიზნესმენი მოსკოვში „მოღვაწე“, საქართველოში დაბადებულ-გაზრდილ ოს ბიზნესმენთან, რომელიც აქტიურად ეხმარებოდა 2008 წლის ომის წინ ცხინვალელ თვისტომებს იარაღის შეძენაში, რაც ქართული მხარის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. ვინ მფარველობდა ამ უკანასკნელს რუსეთიდან განუბაჟებელი ტვირთის „იმპორტს“ რომ ეწეოდა საქართველოში, რა ქონებას ფლობს ჩვენი „წარმატებული“ ბიზნესმენი ახალგორში და ვინ „კრიშავს“ მის ქონებას, ასევე როგორ ააშენეს მცხეთის რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილი თანხებითა და საშენი მასალებით მცხეთაში, მტკვრის პირზე ე.წ. ადეიშვილის სასტუმ-





რო „ჩოჩელმა და კომპანიამ“ ამის შესახებ ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში ვისაუბრებთ. მანამდე მოკლედ, როგორც ჩოჩელის ასევე სხვა „გმირების“ შესახებ.

ნაგუბერნატორალ ბიზნესმენის ხსენებაზე რესპონდენტ ოფიცრებს, პირველი აგვისტოს ომი და ნატახტარ-წეროვანის ტერიტორიაზე მოწყობილი „გეტოები“ ახსენდებათ. ეგ ის ჩოჩელი არ არის ომამდე რამდენიმე ხნით ადრე, მასიურად რომ შეიძინა მანდ ჩალის ფასად მიწები და ომის შემდეგ, ძალიან მაღალ ფასად რომ გამოისყიდეს ეს ფართობები ნაცებმა, უფრო ზუსტად სახელმწიფომო. მაშინ ამბობდნენ, რომ ძალიან დიდი იყო ეს ფასთა სხვაობა. მერე ის სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებმაც ლიახვისა და ქსნის ხეობებიდან დევნილებს კოტეჯები აუშენეს, ფაქტობრივად „გადაყარეს“, სახელმწიფომ ფული არ გადაუხადა. ვეტერან მეომრები დარწმუნებული არიან, რომ ნაცებმა კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ, იგულისხმება მიწების უზარმაზარი ფართობების ჩოჩელისთვის, ანუ „ხერხემალა“ მერაბიშვილისთვის მიყიდვა, ემზადებოდნენ ამ უბედურებისთვის, რაც ქვეყანას თავზე დაატეხეს, აგვისტოს ომის სახით, ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილიო. როგორც გითხარით, ამ ამბების სესახებ „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომერში მოგახსენებთ.

### „დევი ჭანკოტაძე და „ვარსკვლავოსანთა“ კომპანია“

ჭანკოტაძესთან „ფიცხვერცხლნაჭამი“ აკია ბარბაქაძე ვეტერანთა უმეტესობისვთის ორბიტიდან მოწყვეტილი კომეტის „კლასიკური“ მაგალითია, დარჩა რომელიმე პარტია და „პლატფორმა“, სადაც ეს კაცი არ ყოფილა, ისე, არ დაგავიწყდეთ, უკვე მილიონერთა კატეგორიაში გადისო. როგორც კარგად ინფორმირებულნი იხსენებენ, აკია ბარბაქაძე ჯერ ეროვნულ მოძრაობაში იყო, აკაკი ასათიანს დაყვებოდა. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ შევარდნაძესთან გადაბარგდა, იქიდან ნაციონალებში ამოყო თავი. გარკვეული პერიოდი „ქართულ ოცნებაშიც“ იყო, პრეზიდენტის აპარატში და ახლა ძველ ბუდეს დაუბრუნდა. თავად განსაჯეთ ამ კაცის პიროვნებაო. ჩვენი მეორე რესპოდენტის განცხადებით, აკია ბარბაქაძე წესიერი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მე როცა ვმუშაობდი შეიარაღებულ ძალებში, მაშინ სერიოზული თანამდებობა და ავტორიტეტი ჰქონდა, როგორ და რატომ აღმოჩნდა ნაცების გვერდით ვერაფერს გეტყვით, დანარჩენები ვინც ახლა ჭანკოტაძის გვერდით დადგა, მაიმუნი, გათახსირებული ხალხია, ყურაშვილს ვიცნობ და რა ნაძირალაცაა ჩემზე კარგად იცით. დანარჩენები ვინ არიან საერთოდ არ ვიცნობ, არიან კი სამხედრო ოფიცრებიო. როგორც გითხარით, ამ ეტაპზე ყველა დოკუმენტის მოძიება და რესპოდენტის ჩაწერა ვერ მოვასწარით. მომდევნო ნომერში აუცილებლად დეტალურად ვისაუბრებთ როგორ გაქრა დევი ჭანკოტაძისადმი დაქვემდებარებულ სამხედრო ნაწილიდან, კერძოდ, ელიას მთაზე განთავსებულ პირველ საარტილერიო ბრიგადიდან (მაშინ სულ ეს ერთი



საარტილერიო ბრიგადე ყოფილა) ათი ცალი სითბური რაკეტა. 9მ-32 სითბური რაკეტა „სტრელა“ ხსენებულ ნაწილში ინახებოდა, მათ გაუჩინარებას ძალიან ცუდი შედეგები მოყვა. რაკეტებთან ერთად დაიკარგა ერთი ადამიანი, რომელიც დღესაც დაკარგულად ითვლება, ამბობდნენ ვითომ მოკვდაო, მაგრამ იმ ადამიანმა, რომელიც ამოსაცნობად მიიყვანეს, თქვა, რომ ეს ის კონკრეტული ადამიანი არ იყო. რესპოდენტის განცხადებით, დიდი ეჭვი არსებობს, რომ სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობამ გააქრო, მათ მოიშორეს. საღამოს რაღაც-რაღაცები წაიღო ამ კაცმა სამსხურიდან, რაც ამ ხელმძღვანელობას ჭირდებოდა, მეორე დღეს ის „რაღაცებიც“ დაიკარგა და მისი წამღები ადამიანიც. შემდგომში ამათთან აღმოჩნდა ეს „არსენალი“, საიდან გაჩნდა ამათთან თუ ის კაცი დაიკარგა, მე არავის არაფერს ვაბრალებ, მაგრამ რაღაცა ლოგიკა ხომ უნდა არსებობდეს და ამ ლოგიკის მიხედვით უნდა მივყვეთ კვალსო. ჩვენი მეორე რესპოდენტის, პროფესსიონალ სპეცსამსახურელის განცხადებით, ხსენებული რაკეტები გაყიდეს „ვარსკვლავოსნებმა“, თუმცა, როგორც გითხარით, ამ თემაზე მომდევნო ნომერში ვისაუბრებთ.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ცდება, ვისაც ჰგონია რომ, „ნაციონალები“ გამარჯვებისთვის იბრძვიან

← 5 გვ.

ახლა, მმართველი ძალა ნელ-ნელა ცდილობს რაღაც სხვა ელემენტებიც წამოსწიოს. ის, რომ ქვეყანამ მოახერხა 8 წელი ომის გარეშე ყოფილიყო, სოფლის მეურნეობას ხელი გაუმართეს და ა.შ. მაგრამ ძირითადი არის მიშასთან დაპირისპირება. „ქართული ოცნების“ მიმართ ხალხის უკმაყოფილება, უმეტესწილად, დაკავშირებულია იმასთან, რომ ეს ფუნქცია მან სრულად ვერ განახორციელა. „ნაციონალები“ პოლიტიკური დღის წესრიგიდან უნდა მოეხსნათ, რაც ვერ შეასრულეს, თუმც შეეძლოთ. იმიტომ, რომ 2012 წელს „ქართული ოცნების“ გამარჯვების მერე, „ნაცები“ ჩაჩუმებული იყვნენ და ცდილობდნენ ზედმეტად თვალში არავის მოხვედროდნენ. ახლა, ხომ ხედავთ რაც ხდება. მათი მისამართით ხშირად ისმის რეპლიკა: „ნაცების“ გათამამება თქვენი ბრალიაო. ოღონდ, აქ, შეიძლება ფრჩხილები ბოლომდე არ არის გახსნილი. „ნაცებს“ უზარმაზარი ოდენობის მეტასტაზები ჰქონდათ ძალოვან, კერძო სტრუქტურებში, ასევე, უამრავი ბიზნესი. მათ თავისი ბიზნესმენების კლასი ჰქონდათ შექმნილი. ეს ხალხი ხომ არსად წასულა. ისინი ამავე დროს „ნაცმოძრაობას“ აფინანსებდნენ. ანუ, „ნაცმოძრაობა“ მხოლოდ ის ნაწილი არ იყო, რაც ზედაპირზე ჩანს, მას თავისი დაფარული ნაწილიც ჰყავდა ფსკერზე ჩამალული. ეს ახალი ფენომენი არ არის — ედიკაც რომ წავიდა, მისი ხალხი დარჩა საკვანძო სტრუქტურებში, მაგრამ ამ საკითხს კარგად მოუარა სააკაშვილმა. მოსახლეობა ელოდა, რომ ივანიშვილის მოსვლის მერე საკადრო ცვლილებები განხორციელდებოდა და „ნაცები“ აღარ იქნებოდნენ. ეს არ მოხდა. „ნაციონალებში“ ჩამალული ფენის ფონზე რადიკალური პოლიტიკის გატარება, საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. „ნაციონალები“ ხელისუფლებიდან წასვლის პირველივე დღიდან თავგამოდებით იბრძოდნენ იმიტომ, რომ მათ ციხის სახით რეალური საფრთხე ემუქრებოდათ. დიახ, მათ იცოდნენ, რომ ბევრი რამ ჰქონდათ საიმისოდ დაშავებული, რათა ციხეებში აღმოჩენილიყვნენ. ამიტომ, დასავლეთის მხრიდან კოაბიტაციის ეს ტალღა — ხელი არ ახლო პოლიტიკურ ოპონენტებს, წამოსწიეს.

**— ცალსახაა, რომ „ნაცების“ დაპირებები საზოგადოების მოთხოვნებს აცდენილია. მაგრამ რას ჰპირდება „ქართული ოცნება“ ისეთს მომხიბვლელს საზოგადოებას, რომ მას დაუჭირონ მხარი?**

— დეტალებს აღარ ჩამოვთვლი იმიტომ, რომ თითქმის, ტრაფარეტია: მოვუაროთ ეკონომიკას, გავაჩინოთ სამუშაო ადგილები და ა.შ. მაგრამ ყველაზე მომხიბვლელი რაც აქვს, შემდეგია — მას შეუძლია „ნაცებთან“ ბრძოლა. ამიტომ, აძლევენ მას ხმას და არა იმ დაპირების გამო, რაც გასცეს.

„ქართულ ოცნებას“ „ნაცები“ კედელთან არ ჰყავს მიყენებული, მაგრამ ხელისუფლებაშიც არ უშვებს. ეს უკვე არის იმის მიზეზი, რომ საზოგადოებამ მას მისცეს ხმა. „ნაცების“ პრობლემა რომ გადაეწყვიტათ, ეს საინტერესო იქნებოდა. აგერ, ირაკლი ღარიბაშვილი გამოდის და ამბობს: ეს პოლიტიკური პარტია უნდა აიკრძალოსო, რასაც ბევრი იზიარებს. „პატრიოტთა ალიანსის“ პოპულარობის დიდი წილიც სწორედ ის არის, რომ მასაც ეს პოზიცია აქვს. ეს ჯერ ვერ მოახერხეს, რადგან „ნაცმოძრაობა“ ძალიან თავგამოდებით იბრძვის იმისათვის, რომ გადარჩეს. ჩვენ სულ გვგონია რომ იგი იბრძვის იმისთვის, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს, მაგრამ რეალურად ეს არის ბრძოლა გადარჩენისთვის. ანუ, იმისთვის, რომ არ დაიჭირონ. ხომ ფაქტია, რომ მათ ძალიან შეტოპეს. უგულავას და მერაბიშვილს მცირეწონიანი ბრალდებები ჰქონდათ იმასთან შედარებით, რაც საზოგადოებამ იცის. არადა, რა საქმეებიც ახლა ტივტივდება, აშკარაა, რომ რეალურად მათ მიმართ ბრალდებები საკმაოდ მძიმეწონიანია. მათი პასუხისმგებლობის საკითხი სათანადოდ დაყენებული არ არის. ეს ყველაფერი ერთიანობაში ქმნის იმ სურათს, რომ „ნაცები“ იბრძოდნენ გადარჩენისთვის. ახლაც, ცდილობენ მეორე ან პირველი ოპოზიციური პარტიის სტატუსი ჰქონდეთ, რათა ასე გააგრძელონ ბრძოლა გადარჩენისთვის. სხვა ამოცანა მათ არ აქვთ.

**— და მაინც, რა განსხვავებაა „ქართული ოცენბისა“ და „ნაცების“ მხარდამჭერ საზოგადოებას შორის?**

— იცით რა არის, დღეს გერმანიაში სრული თავისუფლება და პარტიებზე აკრძალვები რომ არ იყოს, დღის სინათლეზე ნამდვილად გამოვიდოდა ფაშისტური, ნაცისტური პარტია. ამ დროს ნაციზმი აკრძალულია, ამიტომ იგი საჯაროდ არც ვლინდება. სამაგიეროდ, ხშირია გამოსვლები და ა.შ. ეს აკრძალვა რომ მოიხსნას, პროცენტი საკმაოდ დიდი იქნება, არანაკლები ვიდრე „ნაციონალებს“ აქვთ. ვიმეორებ, გერმანიაში ნაციონალურ-სოციალისტურ პარტიას მხარდაჭერა ექნებოდა, მაგრამ ერთია საზოგადოების მხარდაჭერა და მეორეა — კანონი. აი, თუკი აღმოჩნდა, რომ ანალოგიური კანონით ეს პარტია აიკრძალა, ეს უკვე სხვა მექანიზმი იქნება. თუ სახელმწიფომ დანაშაული საზოგადოების მხარდაჭერით შეაფასა, ვერავის დასჯის, მხარდამჭერები ყველგან იქნება. აქ, ლაპარაკი არ არის „ნაციონალების“ პოლიტიკაზე, ისინი დამნაშავენი არიან. გესმით, აქ, დანაშაულზეა ლაპარაკი. ერთი, ორი, ათასობით დანაშაული ჩადენილი იყო თუ არა?! ამიტომ, ეს სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს. ამ მხრივაც, სათავისოდ სწორად მოიქცნენ „ნაციონალები“ — ეს საკითხი პოლიტიკაში გადაზარდეს, მთელი აქცენტი გააკეთეს იმაზე, რომ ოპოზიციას წარმოადგენენ და დაიწყეს ყვირილი: აი, შეხედეთ, ოპოზიციურ პარტიას იჭერენო. ხომ ვიცით, როგორ გამოუშვეს ციხიდან გიგი უგულავა. ასე, რომ ამ კუთხით თუ გავშიფრავთ რა არის თვითონ „ნაცმოძრაობის“ მონაპოვარი — ეს სიცოცხლის, გადარჩენის ინსტიქტია იმიტომ, რომ მათ ძალიან ბევრი დანაშაული აქვთ ჩადენილი. რამდენი დანაშაულიც აქვთ, იმდენად თვითგადარჩენაზე ფიქრობენ. თვითგადარჩენის უნარი, ყველა ხერხით დაბეჯითებით ბრძოლა, რაც „ნაცებს“ ახასიათებთ, ეს არ აქვს „ქართულ ოცენბას“. იგი უფრო ნეტარად არის იმიტომ, რომ ასეთი აუცილებლობები არ უდგას. „ნაციონალებმა“ რომ ვერ მოახერხონ სხვადასხვა ხერხის გამოყენება მათ ფიზიკური საფრთხე — ციხე ემუქრებათ, „ქართულ ოცნებას“ კი არანაირი საფრთხე არ აქვს, გარდა „ნაციონალების“ ფაქტორისა — თუ დამარცხდნენ შეიძლება „ნაციონალები“ მოვიდნენ რომელიც მერე, „ქართულ ოცნებას“ და ყველა სხვას, მათ შორის, თქვენ გაზეთსაც, ალბათ, გადაუვლიან.




**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ნაცმოძრაობა - მკვლელების დესანტი ჯოჯოხეთიდან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ს.გ“ N30-32)

ნაციონალური მოძრაობა გააფთრებული ცდილობს, რომ ავაზაკ სხეულზე „კონსტრუქციულობის“ ქურქი მოისხას — ლაპარაკობს, სტრატეგიაზე, თანამშრომლობაზე, ბიზნესის გამოცოცხლებაზე, გადასახადების შემცირებაზე, ინვესტიციების წახალისებაზე, პენსიის გაზრდაზე... ამ დროს იმ ყველაფერზე, რისი რეალურად „დიდოსტატებიც“ იყვნენ, იმაზე არ ლაპარაკობენ. სამწუხაროდ პრობლემა იმაშია, რომ სანამ ნაციონალური მოძრაობა არსებობს, და არსებობს ისე, რომ ძველ დანაშაულებებზე არც პასუხი უგიათ და არც მოუნანიებიათ, ახლანდელი ხელისუფლების რეალურ შეცდომებზე ლაპარაკი გაძნელებულია. ზოგიერთ გონიერ, მაგრამ ფრთხილ ადამიანს ეშინია, ამით ჯერ კიდევ მოფართხალე ნაცმოძრაობას ხელმეორე სუნთქვა არ გაუხსნას, ზოგიერთ გონიერ, მაგრამ არანაკლებ ფრთხილ ადამიანს არ სურს, რომ მისი კრიტიკული მესიჯები ნაცმოძრაობასთან ასოცირების შთაბეჭდილებას ქმნიდეს. დიახ, ქართულმა ოცნებამ ვერ შეასრულა დანაპირები სამართლიანობის აღდგენის, სამართლიანობის დამკვიდრების შესახებ. დღეს მიხეილ სააკაშვილის დროინდელი ძალადობრივი მანქანის საცეცები მნიშვნელოვანწილად მოკვეთილია, მაგრამ სასამართლოსა და პროკურატურის სათავეში, ოცნების საპარლამენტო და რეგიონალურ პარტიულ სტრუქტურებში — ერთ დროს ნაცმოძრაობის ცნობილი ოდიოზური პირების არსებობა სერიოზულ ეჭვს იწვევს, რომ სამართლის დამკვიდრებიდან ჯერ ისევ შორსაა. თუ ეკონომიკური სწრაფი პროგრესის მიღწევა ნამდვილად რთული და ხანგრძლივი ამოცანაა, სამართლიანობის დამკვიდრების მხრივ არსებული მოლოდნების იმედგაცრუება ბევრად მძიმე იმიჯური დარტყმაა ქართული ოცნებისათვის. ერთი დამპალი ვაშლი ერთ კალათ ვაშლს დაალპობსო. ასეა ერის საქმეც, რომელშიც გახრწნილებასა და გადაგვარებას ერთეულები იწყებენ...რამოდენიმე დღის წინ ორასამდე ვეტერანმა ცოცხალი თუ მოკლული ჯარისკაცების მიმტოვებელ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, გენერალ დევი ჭანკოტაძესა და პარტიის პრემიერობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილს მხარდაჭერა გამოუცხადა. მათი განცხადებით, სხვადასხვა არასამთავრობო ორ-



განიზაციებში გაერთიანდებიან და არჩევნებს დააკვირდებიან. „მიმიფურთხებია ყველა იმ ვეტერანისთვის, ვინც პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის ტრაგედია და გია კრიალაშვილის სიკვდილით დასჯა დაივიწყა და ნაცჯალათების კასტილიანის გვერდზე დგომა გადაწყვიტა! თქვე არაკაცებო, 60 პარტია მონაწილეობს არჩევნებში. ერთი, სხვა, როგორ ვერ ამოარჩიეთ, რომ ბოლმასთან ერთად კაცობა და ღირსებაც არ გადმოგერწყიათ!„ზანგის ჭანკოტაძეს“ ებარებოდეთ!,-ასე „შეეხმიანა“ ხათუნა ხოფერია ვეტერანების ღონისძიებას... 2004 წლის დასაწყისში სააკაშვილმა დახურა ერგნეთის ბაზრობა, ერთ თვეში კი გააძლიერა ქართული სამშვიდობო კონტინგენტი. სეპარატისტების პრეზიდენტმა კოკოითიმ გასცა ბრძანება და 60-მდე ქართველი პოლიციელი ჯერ დააპატიმრეს, შემდეგ კი ცხინვალის ცენტრში დააჩოქეს, 7 ივლისს სამაჩაბლოში შეიარაღებული კონფლიქტი განახლდა. შეტაკებების შედეგად საქართველომ 16 სამხედრო დაკარგა. დაიკარგა ქართული მხარის პოზიციებიც. წყალში გადაყრილი აღმოჩნდა 12 წლიანი სამშვიდობო პროცესის მიღწევებიც. 20 აგვისტოს თბილისს მოუწია საკუთარი სამხედრო შენაერთების გამოყვანა რეგიონიდან. სპეცოპერაცია საქართველოს იმჟამინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის ხელმძღვანელობით განხორციელდა. 2007 წლის დეკემბერში ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ მომავალ წელს ცხინვალში შამპანურს დალევდა, 2008 წლის აგვისტოში დახოცილი სამხედროების თუ მშვიდობიანი მოსახლეობის შესანდობარს მართლაც სვავდნენ, მაგრამ არა ნაცები!...პირველობას ჩემობს, პარტია, რომელმაც სასამართლო უსამართლოდ აქცია და ახლა გახდა თემიდის ტრფიალი, აქლემის ქურდ ნაცლიდერებს, თავისი დანაშაული ნემსის ქურდის მხილებით უნდა მიაფუჩეჩოს. სავლე ვეღარ იქცევა წმინდა პავლედ, ნაცსავლეებს დღემდე თავისი დანაშაული და შეცდომები არ ულიარებიათ და არ მოუნანიებიათ...ნაცების ზეობის პერიოდში, სახალხო დამცველის სოზარ სუბარის, 2006 წლის ანგარიშში საუბარია ადამიანის უფლებათა დარღვევების კონკრეტულ ფაქტებზე, სასამართლოს სისტემაში არსებულ პრობლემებზე, ცალკეული სტრუქტურების მხრიდან ადამიანის უფლებათა უგულვებელყოფაზე, პოლიციის მიერ ძალის გადაჭარბებით გამოყენების, პენიტენციალურ სისტემაში შექმნილი მდგომარეობის, საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ანგარიში ასევე შეიცავს არსებული პრობლემებიდან გამომდინარე რეკომენდაციებს. რომელსაც მმართველი პარტია არ ითვალისწინებდა. საკომიტეტო განხილვაზე სოზარ სუბარმა ”სამართლიანი სასამართლოს” პრობლემის კონტექსტში კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება სანდრო გირგვლიანის და ამირან რობაქიძის გახმაურებულ მკვლელობებზე. მისი განცხადებით ”სანდრო გირგვლიანის სასამართლო პროცესი იყო პრეცედენტული იმ გაგებით, რომ ყველაზე გახმაურებული საქმე საქართველოს ბოლო დროის ისტორიაში, რომლის მიმართ საოცრად მაღალი იყო საზოგადოების ინტერესი, დასრულდა პრეცედენტულად მოკლე დროში- ექვს სასამართლო სხდომაში. სასამარ-



თლომ პრაქტიკულად არ დაკმაყოფილა არცერთი შუამდგომლობა, რომელსაც შეეძლო საქმის შემობრუნება, რომელიც იმ ეჭვებს მაინც გაგვიფანტავდა, რომელიც ჩვენ გვაქვს დამკვეთების მიმართ ან პირიქით დაადასტურებდა ამ ეჭვებს. ამდენად თავად მოსამართლემ დააყენა ეჭვქვეშ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხი,”- აღნიშნულ საკომიტეტო განხილვას ხმაურის გარეშე არ ჩაუვლია. სხდომა მას შემდეგ, შეწყდა რაც კომიტეტის ხელმძღვანელობამ გირგვლიანისა და რობაქიძის მშობლებს, რომლებიც ესწრებოდნენ განხილვას, სიტყვით გამოსვლის უფლება არ დართო. ამ ფაქტმა მათი და ოპოზიციის ხმაურიანი პროტესტი გამოიწვია...გლდანის ციხის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის კაბინეტში იატაკზე სამნი ეყარნენ — მერაბ. ყოლბაია, იგივე „კოჭოია“, ელდარ ქობალია და კობა მატკავა. სამივე საშინლად ნაწამები იყო. ელდარ ქობალიამ მერაბ ყოლბაიას უჩურჩულა —„ მე ხელკეტით გამაუპატიურეს და თუ„ აღიარებით ჩვენებას” არ მისცემ, შენც იმავეს გიზამენო!”აი, რას ამბობს ელდარ ქობალიას ადვოკატი არქანია ერთ-ერთ ინტერვიუში: ავედი ციხეში და ვუთხარი, რომ ვიცოდი პატიმრის გარდაცვალების შესახებ. მაინც არ ტყდებოდნენ, სიმართლეს არ მეუბნებოდნენ. როდესაც ცენტრალურ პროზექტურას დავუკავშირდი, მხოლოდ იმათ დამიდასტურეს... არც ამ ინფორმაციის შემდეგ გამომიჩინეს ცხედარი. საბოლოოდ დავუკავშირდი დამკრძალავ ბიურო„ ჰერმესს”, რომელსაც სასჯელაღსრულებასთან აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობა.„ ჰერმესში”დამიდასტურეს, რომ ეს პიროვნება სახელმწიფო ხარჯებით დაკრძალა აფრიკის დასახლებასთან მდებარე ველის სასაფლაოზე.„ ჰერმესის” წარმომადგენელთან ერთად ავედი სასაფლაოზე და მან მიგვითითა, სად იყო დაკრძალული ელდარ ქობალია. არც სახელი ეწერა, არც გვარი, არც საიდენტიფიკაციო ნომერი ჰქონდა. ძაღლს არ მარხავენ ისე, როგორც ის დამარხეს“.ნარკოტიკების შეძენა-შენახვის ცრუ ბრალდებით დაკავებული 21 წლის ახალგაზრდისგან ძაღლის რძით გაზრდილი ნაცძალოვნები, ტერორისტული აქტის მომზადების აღიარებას ითხოვდნენ და წამებაში შემოაკვდათ და შემდეგ ჩუმად დამარხეს...რამდენი ასეთი ფაქტი დარჩა გამოძიების მიღმა. აფრასიძეების ოჯახის ტერორი ტელევიზიით ყველამ ვიხილეთ, მაგრამ გია ბარამიძე დღესაც უტიფრად იმართლებს თავს, უდანაშაულოდ



დახოცილ აფრასიძეების და მათი აწიოკებული ოჯახის მიმართ სინანულიც არ ეტყობა...2007–2012 წლებში ადამიანის უფლებათა სტრასბურგის ევროპულ სასამართლოს საქართველოდან რამდენიმე პატიმარმა მიმართა საჩივრით იმის გამო, რომ მათ ციხეში ყოფნის დროს დაემართათ ან გამოუვლინდათ ჩ ჰეპატიტი. სასჯელაღსრულების სისტემამ და სახელმწიფომ კი მათ უარი უთხრეს

















სრულფასოვან მკურნალობაზე. სტრასბურგის სასამართლომ 5 ასეთი საქმე მიიღო წარმოებაში (პოღოსიანის, ღვათაძის, ჯანიაშვილის, ჯელაძის და ჯაშის) და ხუთივე მათგანი სახელმწიფო მხარის წაგებით დასრულდა. უმრავლეს შემთხვევაში სახელმწიფოს ბრალად წარედგინა პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობა და ადექვატურ სამედიცინო მკურნალობაზე უარის



თქმა. ხაზგასმული იყო, რომ წლების განმავლობაში ავადმყოფებს უარს ეუბნებოდნენ სათანადო გამოკვლევების ჩატარებაზეც, რისი ალტერნატივაც პენიტენციალურ სისტემაში მყოფი პირებს არც გააჩნდათ! გარდა ამისა, ციხების ხელმძღვანელობა უზღუდავდა პაციენტებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას! გამოვლინდა სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების რიგი დარღვევები, რაც არ შეესაბამებოდა თავად საქართველოს რეგულაციებს ამ დოკუმენტაციის წარმოების შესახებ. რიგ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა არასათანადო კვალიფიკაციის ექიმების მიერ დაავადების არასწორ მართვას! ასევე ზოგჯერ პატიმრებს ხელი ეშლებოდათ ალტერნატიული გამოკვლევების და საექსპერტო გასინჯვების ჩატარებაში. ზემოხსენებული ანგარიშიდან შესაბამისი ამონარიდი შემდეგნაირად იკითხება:„ვირუსული ჰეპატიტის პრობლემა რჩება ერთ–ერთ ყველაზე მწვავე საკითხად საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში. 2009 წელს გარდაცვლილ პატიმართა 40% იტანჯებოდა ვირუსული ჰეპატიტით. გარდაცვლილთა 15%-ს ჰქონდა ღვიძლის ციროზი და მასთან დაკავშირებული გართულებები, როგორიცაა კუჭ–ნაწლავის ტრაქტის ზედა ნაწილიდან სისხლდენა, რომელიც რამდენიმე შემთხვევაში გახდა პატიმრის გარდაცვალების ძირითადი მიზეზი. 2010 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, პატიმართა 47.4%-ს, რომელიც გარდაიცვალა 2010 წლის პირველ ნახევარში ჰქონდა, ვირუსული ჰეპატიტი, ზოგიერთ მათგანს განუვითარდა სიცოცხლისთვის შეუთავსებელი გართულებები. მონიტორინგმა გამოავლინა, რომ ბევრ პატიმარს, რომელსაც ჰქონდა ღვიძლის დაზიანების კლინიკურად აშკარა ნიშნები, საერთოდ არ ჩაუტარდა გამოკვლევა ვირუსული ჰეპატიის გამოსავლენად“. სააკაშვილის ხელისუფლება „ინოვაციურად რეაგირებდა“ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. მას შემდეგ, რაც სტრაბურგის სასამართლოში არაერთი საქმე წააგო, ნაცმოძრაობის ხელისუფლებამ იმის ნაცვლად, რომ პატიმრისათვის ახლა მაინც სათანადო მკურნალობა ჩაეტარებინა, „უკეთესი გამოსავალი“ იმით იპოვა, რომ ერთ-ერთი დაავადებული პატიმარი ციხიდან ვადაზე ადრე გაანთავისუფლა! პაციენტმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა, მაგრამ ხელმოკლეობის გამო მკურნალობის ჩატარება ვერ შეძლო, რასაც მისი მდგომარეობის გაუარესება მოჰყვა და სანამ სასამართლო მის საჩივარს განიხილავდა, იგი გარდაიცვალა! მას შემდეგ, რაც სტრასბურგის სასამართლოში უკვე 4 ანალოგიური საქმე წააგო, საქართველოს ნაცმოძურმა ხელისუფლებამ საერთოდ აკრძალა ციხეებში არა მარტო ჩ ჰეპატიტის გამოკვლევების ჩატარება, არამედ ამ საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პატიმართა მდგომარეობის შესწავლაც! გავრცელებული ხმებით, ეს გადაწყვეტილება პირადად ვანო მერაბიშვილის „ინოვაცია“ იყო! დღეს იმ ხელისუფლების ყოფილი მესვეურები, რომლებიც თავისი მმართველობის პერიოდში ზემოთაღწერილი დრაკონული მეთოდებით ებრძოდნენ არა ჩ ჰეპატიტს, არამედ — დაავადებულ პაციენტებს, რომლებიც სპეციალურად ხურავდნენ ციხეებს, რომ ვერავის გაეგო პენიტენციალურ სისტემაში ჩ ჰეპატიტის გავრცელების შემაშფოთებელი დონის და დაავადებულთა მიმართ არაადამიანური მოპყრობის შესახებ, ადამიანები, რომლებიც ძირითადად თავისი მეუღლეები ევროპაში მოლოგინებით ან თავიანთი ახლობლებისათვის ძვირადღირებული ოპერაციების დასავლეთის კლინიკებში ჩატარებით იყვნენ დაკავებულნი და ფეხებზე ეკიდათ, ციროზისათვის განწირული ათასობით ადამიანის ბედი, რომელთაც ძვირადღირებული მკურნალობის შანსს მხოლოდ სახლ-კარის გაყიდვა აძლევდა, სწორედ ეს პოლიტიკოსები რომელთა პრიორიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ცნობილი მოღერლების ჩამოყვანა და საქართველოს შადრევანიზაცია იყო, და რომელთა ხელისუფლებამ არა მარტო პატიმრები დატოვა უიმედოდ განწირული, არამედ ასეულ ათასობით ის ადამიანიც, რომელთაც საპროცესო გარიგებებით გატყავებულებს, არამცთუ ჩ ჰეპატიტის ძვირადღირებული, არამედ გაციებით იაფი სამედიცინი დახმარების სახსრებიც აღარ გააჩნდათ, — აი, ეს ყოფილი მინისტრები და პარლამენტარები უტიფრად გამოდიან და მსჯელობენ ხარვეზებზე, მოსალოდნელ პრობლემებზე, ხალხის და ქვეყნის ბედზე. „გაევროპულებული“გიგი უგულავას განცხადებით მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ ხალხს ახალი მიშა ვერ შესთავაზა და სთავაზობს ისევ ძველს ოღონდ უფრო გაბოროტებულს. ხალხს უკეთესი მიშა უნდოდა, მაგრამ უკეთესი მიშა არ არსებობს, თორემ უკეთესი მიშა, რომ შეეთავაზებინა ხალხისთვის, განახლებული ხედვით, იდეებით, დაბრძენებული, ბევრად უფრო წინ წასული, მათ შორის, საკუთარი მოღვაწეობის რეფლექსიით, მე დარწმუნებული ვარ, რომ მას დიდი პერსპექტივა ექნებოდა ამ ქვეყანაში, მაგრამ მან შესთავაზა წარსული და წარსულის დაბრუნება ხალხს აღარ უნდა”, დიახ, კაცს რომელსაც პროკურატურა 48 მილიონის გაფლანგვას და პარტიული მიზნებისთვის გამოყენებას ედავებოდა, ასევე 2008 წლის ომში დაჭრილი ჯარისკაცებისთვის ვაშინგტონის ონკოლოგიური საავადმყოფოდან რატომღაც მის სახელზე გამოწერილი სამედიცინო ტვირთს, კერძოდ კი მორფინს რომელიც გამოიგზავნა და ვის ვენებში ჩაიკარგა გაურკვეველია, მის ცოლყოფილზე და მეგობრებზე დახარჯულ ბიუჯეტზე და უამრავ უკანონობაზე, რომ არაფერი ვთქვათ გიგიც პავლედ ქცეულა და მიშას სავლედ დარჩენა აღარ მოწონს თურმე არადა ნაცლიდერებს მხოლოდ სამარე თუ გამოასწორებთ…ნაცმოძრაობის ისტორია საოცარი ურთიერთგამომრიცხავი პირობების და პროცესების ერთობლიობაა. ესაა საგა გმირობაზე, რომელიც ლაჩრული მარცხის საწინდარი იყო, ესაა პოემა დემოკრატებზე, რომლებმაც გულაგი ააშენეს, ესაა ეპოსი დრაკონის კორუფციის შემმუსრავ მზეჭაბუკზე, რომელიც ახლოდან ნებისმიერი წინა დრაკონის კორუფციის ასჯერ უფრო მძიმე ვარიანტი აღმოჩნდა, ესაა ზღაპარი ქვეყნის განმანთავისუფლებელზე და აღმაღორძინებელზე, რომელმაც ქვეყანა დაანაწევრა და კიდევ უფრო მეტი ტერიტორიები აჩუქა მტერს, დაბოლოს, ესაა მედგარი მცდელობა სახელდაკარგული აჩრდილისა — ახალი სისხლი და ჩრდილი იპოვოს და სცენაზე დაბრუნდეს ერთ მდინარეში მეორედ შემოსვლის წინასწარ განწირული დაუდგრომელი მცდელობა… ნაცმოძრაობის უტიფარ ლიდერებს ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ ჟინი, გაუტეხელობა, მიზნისკენ ჯიუტად სიარული, არადა ყოველგვარი ლოგიკა მათ წინააღმდეგ არის. საქართველოს ისტორიაში ნამდვილად პირველად ხდება, რომ დამარცხებული პარტია, რომლის წინააღმდეგ მრავალი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი არსებობს, და რომლის პოლიტიკური პასუხისმგებლობა, გარემოებების გამო, ძალიან მძიმე უნდა იყოს, ჯიუტად ამბობენ უარს საკუთარი დანაშაულებრივი სისტემის ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებაზე, მონანიებაზე და ხელისუფლებაში დაბრუნების ილუზიების ნაცვლად რაიმე რეალური საქმიანობით ცხოვრების გაგრძელებაზე.

გაგრძელება იქნება

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30







# მანქურთები

## ნაცებს სამშობლო არ აქვთ, ნაცებს სამშობლო არ აწუხებთ, ნაცებს და სახელ და სახეშეცვლილ ნაცებს სამშობლო, ქართული მიწა, საქართველო, ქართველი ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ!






გასულ კვირებში საზოგადოებისთვის აქამდე უცნობმა, უცხოეთში მოღვაწე ბიზნესმენმა **დავით ხიდაშელმა** საქართველოს უნიკალური რუკა ჩამოუტანა, სადაც ნათლად არის გამოსახული საქართველოს ტერიტორიული საზღვრები.

როგორც მიხვდით, ეს რუკა თავისი შინაარსით უდიდესი განძია საზღვრებმორღვეული და ბოლო დროს შინაური თუ გარეშე მტრის მიერ ათასგზის გატიალებული ჩვენი ქვეყნისთვის.

ეს ის საკითხია, როცა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირებიც კი უნდა გაერთიანდნენ და მადლობა თქვან ამ სასიამოვნო შემთხვევითობისთვის თუ ღვთის განგებისთვის, მაგრამ, როგორც ჩვენდა სამწუხაროდ მოსალოდნელი იყო, ლიბერასტებმა, ტელევიზიებიდან მოკრიახე ქოჩორგაჩეჩილმა ქათმებმა, ძალად დაბრალებულმა ჟურნალისტებმა და საზრავისთვის სახლებიდან გამომძვრალ-გამოგდებულმა ტიპებმა, რომლებსაც, რატომღაც, პოლიტიკოსები ჰქვიათ, ისტერიკა ატეხეს — ეს რუკა რუსულია და მტრის რუკა ჩვენ არ გვინდაო.

თუნდაც რუსული იყოს, ანდა ჩინური, შენს ქვეყანას საზღვრებს უფართოებს და მეტიც, ამტკიცებს იმას, რომ დღეს მწვავედ სადაო საკითხი — საზღვარი აზერბაიჯანთან ამ რუკით უმტკივნეულოდ გადაიჭრება, უნდა გიხაროდეს.

ვინმემ ტენდენციურობაში რომ არ დამდოს ბრალი, მოუსმინეთ.

ნიკა გვარამია: **„ეს არის რუსული პროექტი“.**

ინგა გრიგოლია: **„გაუგებარია, მაინც და მაინც დღეს სადაო ტერიტორიებზე საუბარი აზერბაიჯანთან მიმართებაში.**

**იმდენად გაუგებარია, რომ გინდა-არგინდა, გიჩნდება კითხვა, ხომ არ დაიწერა ეს გეგმა მოსკოვში“.**

თამარ ჩერგოლეიშვილი: **„ენერგოპარტნიორ აზერბაიჯანთან ტერიტორიული დავა დაუშვებელია“...**

დავით ბერძენიშვილი: **„აზერბაიჯანს როცა ომი აქვს, რა დროს გარეჯზე და 3500 ჰექტარზე დავაა?!**

გიგი უგულავა: **„ეს საკითხი მოღალატეების და უტვინოების წამოწყებულია“.**

ეს სუბიექტები — უგულავა, ბერძენიშვილების რესპუბლიკური პარტია და ჩერგოლეიშვილის გიგა აპირებენ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში — პარლამენტში შეძრომას. ამათ უნდა დაგვიდგინონ კანონები, ამ მოღალატეებმა...

რაც შეეხება ძალად ჟურნალისტ, ნაპროკურორალ გვარამიას და წმინდა წყლის ნაციონალს — გრიგოლიას, მათზე საუბარს აზრი არ აქვს — ესენი ჩვეულებრივი მტრები არიან ქვეყნის და ქართველი ხალხის და არაერთხელ დაადასტურეს ეს.

უკვე დოკუმენტურად, რუკებით და აქედან გამომდინარე, ლოგიკით, მტკიცდება, რომ, როგორც ჩანს, ნაცხელისუფლების დროს იმ პირებმა, ვისაც შეეძლო, დახლზე დააგდო და საკუთარი მუცლის გასაძღომად გაყიდა ქართული მიწა და ახლა იმიტომ ჟივჟივებენ — ფული ვინმემ უკან არ დააბრუნებინოს და უფრო უარესი — „ვირის აბანოში“ არ მოუწიოთ ჩაყუდება.

განსვენებული კულტურის მინისტრი **ნიკოლოზ რურუა** ერთ სატელევიზიო ჩანაწერში ამბობს:

**„მიუხედავად იმისა, რომ ეს (დავით გარეჯი — ი.კ.) ისტორიულად საქართველოს ნაწილი იყო, ეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა, როგორც, ისტორიულად, ტაოკლარჯეთი საქართველო იყო, მაგრამ უკუღმართობის, ისტორიული დაუდევრობის, შეცდომების, უბედობის, ეკუთვნის თურქეთს, მაგალითად. ასეთი რაღაცეები ხდება ყველა ქვეყანაში“.**

მიცვალებულ რურუას იმ სატელევიზიო განცხადებას რომ უყურო, განცვიფრდები, ისეთი სიმშვიდით ამბობს ამ სიტყვებს.

ხომ წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ **ნაცებს სამშობლო არ აქვთ, ნაცებს სამშობლო არ აწუხებთ, ნაცებს და სახელ და სახეშეცვლილ ნაცებს სამშობლო, ქართული მიწა, საქართველო, ქართველი ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ.**

რაც მმართველობაში იყვნენ, ყიდეს, ძარცვეს, ცხინვალის რეგიონის 124 სოფელს ქვების გროვა უწოდეს, ომში ჩახოცილი ბიჭების გვამებს ბუზები და მატლები დაახვიეს ისე, რომ ამ გმირებს დამარხვაც არ აღირსეს, ისე იტლინკავეს რუსთაველზე...

რომელი ერთი დავწერო, რომელი ერთი ვთქვა მათი სისაძაგლეების შესახებ?!

როგორც თავის დროზე დავით გარეჯის ლავრის ერთ-ერთი დიდი მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი იტყოდა: „ამაოდ დაშვრება ენა და კალამი“ ჩვენი ქვეყნის ამ მაოხრებელი ჭირის — „ნაცმოძრაობის“ საზიზღრობების აღწერისას და გახსენებისას...

სრულიად გაუგონარი რამეები მოხდა: იმ რუკის მიხედვით, რომელიც, თითქოსდა, ღვთის სასწაულად ვინმე ხიდაშელმა აჩუქა ჩვენს სამშობლოს, ირკვევა, რომ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დემარკაცია-დემილიტარიზაციის პროცესში ქართული ტერიტორიების 3500 ჰა, მათ შორის დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი, „ნაცმოძრაობის“ მმართველობის დროს სახელმწიფო კომისიას აზერბაიჯანისთვის დაუთმია — ქართული მიწები მოღალატებრივად გადაუციათ მეზობელი ქვეყნისთვის.

ამ რუკით ბოლო ხანებში დაკარგული მიწების დაბრუნების სერიოზული შანსები გაგვიჩნდა, თუმცა ამის წინააღმდეგ ლიბერასტების არმია გვარამია-გრიგოლია-ჩერგოლეიშვილ-ნაცსექტანტებიანად ერთ მუშტად შეიკრა და გაღიზიანდა, რადგან ეს ჭეშმარიტება გაირკვა და შესაძლოა, საქართველომ თავისი ტერიტორიები ლეგიტიმურად მოითხოვოს და დაიმტკიცოს.

გაფიცებთ, ხომ გიკვირთ, არა?

გასაკვირია, ნამდვილად.

რა მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანს ომი აქვს თუ არა ვინმესთან.

ჩვენ აზერბაიჯანის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, ღმერთმა დაგვიფაროს — ჩვენ ვითხოვთ ჩვენს მიწას, ადგილს, სადაც იერუსალიმიდან წმინდა, ღვთიური კენჭის ჩამომტანი, სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგაც სნეულთა სასწაულებრივად განმკურნებელი, წყნარი და ტკბილი მლოცველი დავით გარეჯელი დაფაციფუცობდა თავის ღვთივმოყვარე სულიერ ძმებთან ერთად. აი, ის მიწა არ გვინდა დავკარგოთ — ჩვენი მიწაა, ჩვენი ისტორიაა, ჩვენი სარწმუნოებრივი სიწმინდეა, რომელსაც, თუ მეზობელ აზერბაიჯანელებს ვუფეშქაშებთ, ჩვენი მუსულმანი მეზობლებისთვის ის ადგილი, უკაცრავად და, მოსაშარდად ხელსაყრელ ტერიტორიად გამოდგება მხოლოდ.

ძნელბედობის დროს ქართულ ეკლესიას და ქრისტიანულ სარწმუნოებას არაერთხელ უხსნია ქართველი ერი და ქვეყანა.

ჩვენი ყოველდღიურობიდან გამომდინარე, ჩვენ, შეიძლება, ვერ ვგრძნობთ, მაგრამ, საქართველოს ისტორიის მძიმე და რთულ პერიოდს გავდივართ ახლაც და სწორედ ამ მომენტში გამოჩნდა გარეჯის ბერების თავგანწირვა და ლოცვის ძლიერება.

უიარაღო, ამქვეყნიური სიამებისგან და სიკეთეთაგან ნებით განძარცვული ბერები ცხოვრობენ იმ სადაო და საჩოთირო საზღვარზე. სწორედ მათ არ დათმეს იქაურობა.

როგორც აღმოჩნდა, სწორედ დავით გარეჯის ბერებმა წამოიწყეს უთანასწორო ბრძოლა ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინააღმდეგ.

იქაურმა ბერმა მამა კირიონმა იბრძოლა 14 წელიწადი და ბოლოს მიაღწია თავდაცვის მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილამდე**, რის შემდეგაც ერთიანი ძალისხმევით მოიპოვეს ის რუკა, მტკიცებულება, რითაც უტყუარად დასტურდება, რომ სადაო მიწები საქართველოს კუთვნილებაა.

მამა კირიონი: **„თუ მე, გარეჯში, კლდეში მცხოვრებმა დავიწყე მოძიება და ჩემ ქვეყანას დავუდე შედეგად ის, რომ ხუთ წელიწადში ჩემმა ქვეყანამ მოიპოვა ლეგიტიმაციის მქონე რუკები, რას აკეთებდნენ 13 წელიწადი კომისიის წევრები. რატომ არ დააყენეს საკითხი ერთხელაც კი, სახელმწიფოს უმაღლესი პირების დონეზე?“.**

მამა კირიონმა, ერთმა ბერმა შეძლო ის, რომ ამ სადაო საზღვრისთვის ნათელი მოეფინა მაშინ, როცა გარეჯის გადასაცემად მეზობელი ქვეყნისთვის, ჩართული იყო მთელი ნაციონალური სახელმწიფო მანქანა და როგორც ზემოთ ნიკოლოზ რურუა ამბობს — ძნელბედობას და ისტორიულ უკუღმართობას აბრალებდნენ ყველაფერს.

ისტორიული უკუღმართობის კი არა, ნაცების ურჯულობის, უგულობის და უსინდისობის



ბრალია ის, რაც დღეს გარეჯის გარშემო ხდება.

ტერიტორიები ტერიტორიებად, მათი დაკარგვა, ცხადია, ჩვენი ტრაგედია იქნება, მაგრამ ძაღლის თავი, პრინციპში, უფრო ღრმადაა ჩამარხული. ნაციონალები და მათი დღენაკლული გოჭები — ლიბერასტული ჯგუფები, მიზანმიმართულად ებრძოდნენ და ებრძვიან დღემდე საქართველოს ეკლესიას და ქრისტიანულ სარწმუნოებას — მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ დავით გარეჯი არის უდიდესი ქრისტიანული სიწმინდე, ამიტომ მუსულმანებისთვის მისი გადაცემა ჩუმად მოინდომეს.

ახლა, როცა გარეჯის ბერები და საპატრიარქო წინ აღუდგა ამ გაუგონარ ფაქტს, გამობრძანდა ერის იდეოლოგის პოსტს რომ ეპოტინება, ახალი გებელსობა რომ უნდა, ის კაცი — თმაქოჩორა გვარამია და „ჩაჯვის“ ტელევიზიიდან ყიყლიყოს იძახის: „რაც დღეს საპატრიარქოში ხდება, ეს არის რუსული პროექტი“.

რამდენი იერიში მიიტანეს საპატრიარქოზე, რა ცილები სწამეს პატრიარქს, როგორ უვარდებოდნენ სამკვეთლოში, თავად წერდნენ ეპისტოლეებს, კამაზებით ანგრევდნენ ეკლესიებს... მართლმადიდებლობის დაცემა უნდათ ამათ და რაც ვთქვი, იმაზე ამაზე მეტი ნიშანი ჩემი „ბრალდების“ გასამყარებლად რაღა გინდათ?!

2012 წელს ხალხმა გამოსტაცა მათ ხელიდან ქვეყნის დაქცევის მთელი ძალით არახრახებული მანქანის საჭე და ამას ვერ ინელებენ.

ჩვენ, ქართველები, დავიბრუნებთ უდიდეს ქრისტიანულ მადლს და სიწმინდეს, რაც დავით გარეჯელმა დატოვა გარდაცვალების შემდეგ არა მხოლოდ ლავრაში, არამედ მთელ ჩვენს ქვეყანაში, ხოლო ნაციონალებს, ღვთისგან ისედაც დასჯილებს, ისევ ხალხმა უნდა გამოვუტანოთ განაჩენი. ადრეც ვთქვი, მგონი და კიდევ გავიმეორებ: ეს ჩვენი გასაკეთებელია და ჩვენს გასაკეთებელ საქმეს სხვა არავინ არ გააკეთებს...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ აგრძელებს მაჟორიტაროზის კანდიდატების წარდგენას საქართველოს რეგიონებში



## გიორგი გახარიას სიტყვით გამოსვლა მარტვილში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ალექსანდრე მოწერელიას წარდგენაზე

არ უნდა დაგვავიწყდეს, როდესაც მარტვილში ვიმყოფებით, პირველი, ვინც გვახსენდება დიდი მწიგნობართუხუცესი, დიდი გიორგი ჭყონდიდელია, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ეს საქართველოს სიძლიერის განსახიერებაა, რა თქმა უნდა, ამბროსი ხელაიასთან ერთად და ამ დიდი წინაპრების გზის გაგრძელება თითოეული ჩვენგანისთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა, პასუხისმგებლობა პირველ რიგში ჩვენი წარსულის, მაგრამ კიდევ უფრო პასუხისმგებლობა ჩვენი მომავლის, მომავალი თაობის წინაშე.

მარტვილი ყოველთვის გამორჩეული კუთხე იყო სამეგრელოშიც და საქართველოშიც, პირველ რიგში განსაკუთრებული ნიჭის ადამიანებით და იმით, რომ ამ კუთხემ უამრავი საზოგადო მოღვაწე აჩუქა ჩვენს ქვეყანას - ღირსეული ადამიანები, რომლებიც ღირსეულად ემსახურებოდნენ ქვეყნის განვითარებას.

ქვეყნისთვის და მარტვილისთვის მნიშვნელოვანი ბევრი საქმე გვაქვს დაწყებული, რომელიც ერთად უნდა გავიყვანოთ ბოლოში. უნდა დავასრულოთ მარტვილის მუნიციპალიტეტის გაზიფიცირება და არა მხოლოდ მარტვილის. სამეგრელოში ბევრი მუნიციპალიტეტი გვაქვს დარჩენილი გაზის გარეშე, ამიტომ მთავრობა 2021 წლიდან კიდევ გამოაცხადებს გაზიფიცირების 3-წლიან გეგმას, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას, სამეგრელოს გაზიფიცირება ბოლოში გავიყვანოთ.

რა თქმა უნდა, უნდა დავიწყოთ და დავასრულოთ ტალერი-ლებარდეს გზის მშენებლობა, უფრო სწორედ აღდგენა იმისთვის, რომ ლებარდე, როგორც საქართველოს ბრილიანტი, სულ უფრო და უფრო აქტუალური გახდეს. მოგეხსენებათ, ლებარდეს განვითარებისა და განაშენიანების გეგმის განხორციელება ჯერ კიდევ 2-3 წლის წინ დავიწყეთ, ეს სამუშაოები უკვე დასრულებულია და შეგვიძლია, უახლოეს პერიოდში დავსხდეთ და ერთად ვიმსჯელოთ, როგორ უნდა განვავითაროთ ლებარდე, მარტვილის კანიონი და კიდევ ბევრი რამ, მაგრამ მთავარი მაინც არის ის, რომ ჩვენ ზუსტად ვიცით, თითოეულ მუნიციპალიტეტში, თითოეულ რაიონში შემდგომი 4 წლის განმავლობაში რა უნდა გავაკეთოთ და რა არის პრიორიტეტულად მნიშვნელოვანი. ამისთვის, საქართველოს მთავრობა, მომავალი 4 წლის განმავლობაში, ინფრასტრუქტურული პროექტების წესრიგში მოსაყვანად დახარჯავს მინიმუმ 20 მილიარდ ლარს. რა თქმა უნდა, ეს მარტვილსაც შეეხება. პირველ რიგში, ეს ეხება საგზაო ინფრასტრუქტურას, წყალმომარაგებას, ისევე, როგორც წყალარინების სისტემას, სკოლების რემონტს, გაზიფიცირებას და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მარტვილში 24-საათიანი წყალი არის, ეს სისტემა რემონტს, განახლებას საჭიროებს, ისევე, როგორც წყალარინების სისტემა საერთოდ თავიდან ასაშენებელია, გამწმენდი ნაგებობებია გასაკეთებელი. ეს ყველაფერი 2021 წლის გეგმაში და პროექტში იქნება.

მარტვილში, ტურიზმის განვითარებასთან ერთად, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია სოფლის მეურნეობაც. მარტვილში ბევრი პროექტი დაიწყო, თუმცა ცოტა მეტი უნდა ვიაქტიუროთ და ეკონომიკის ისეთი ტრადიციული სექტორები, როგორიც არის ჩაი, თხილი, ყურძენი, მეღვინეობა - ეს ყველაფერი უნდა განვავითაროთ. მე ერთს გპირდებით, რომ იქ, სადაც ჩვენს მოქალაქეს ექნება სურვილი, გადადგას პირველი ნაბიჯები, აიღოს გარკვეული რისკი თავის თავზე, დაიწყოს ბიზნესი და გლეხობიდან გახდეს ძლიერი ფერმერი, სახელმწიფო, რა თქმა უნდა, დაუდგება გვერდით, იმიტომ, რომ ეს ჩვენს ინტერესშია.

საბოლოო ჯამში, ჩვენი მიზანი რა თქმა უნდა არის სამუშაო ადგილები, ეს არის ყველაზე დიდი გამოწვევა. სამუშაო ადგილების შექმნა არის ყველაზე დიდი მიზანი. სახელმწიფოს ვალდებულება შემდეგშია - ჩვენ უნდა შევქმნათ ყველანაირი პირობები იმისთვის, რომ მშრომელმა, პატიოსანმა ადამიანმა შეძლოს, ღირსეული შრომით ღირსეულად არჩინოს ოჯახი. ეს არის ჩვენი საბოლოო მიზანი, ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ რა თქმა უნდა გვჭირდება 31 ოქტომბერს გამარჯვება. გამარჯვება იმისთვის, რომ ბევრი დაწყებული საქმე ღირსეულად და გამარჯვებამდე გავიყვანოთ ბოლოში.

## ირაკლი ჩიქოვანის სიტყვით გამოსვლა ზუგდიდში

ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა, დღეს ვიყო წარდგენილი აქ, თქვენს წინაშე.

მე, ირაკლი ჩიქოვანი ვარ, ადამიანი, რომელიც ვაფასებ თქვენს გვერდში დგომას, ვაფასებ იმ ნდობას, რომელიც ჩემს მიმართ გამოავლინა პარტია „ქართულმა ოცნებამ“. მადლობა მინდა ვუთხრა პარტიის თავმჯდომარეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მთლიანად „ქართული ოცნების“ გუნდს.

მართლაც დიდი პატივია, ვიყო სახელისუფლებო პარტიის კანდიდატი ისეთ რეგიონში,



ისეთ ქალაქში, როგორიც არის ზუგდიდი. ჩემთვის ეს ქალაქი არ არის მხოლოდ გეოგრაფიული ადგილი, ჩემთვის ეს ქალაქი არ არის მხოლოდ პოლიტიკური პლაცდარმი, ეს არის ქალაქი, სადაც მე ვიზიარებ ამ ადამიანებთან ერთად ყოველდღიურობას და სადაც ჩემთვის ყოველი კუთხე, ყოველი კუნჭული, პრობლემა და სიხარული არის ნაცნობი.

მინდა მივესალმო ჩვენი გუნდის წევრებს, იმ ადამიანებს, რომლებმაც საკუთარი გამოცდილებით მოიტანეს „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებამდე. ასევე მივესალმო იმ ადამიანებს, რომლებიც აქ არიან, ჩვენი გუნდის ახალი წევრები, რომლებთან ერთადაც ჩვენ უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ საქართველო იყოს წარმატებული.

ჩვენ ერთად უნდა შევძლოთ, რომ მივაღწიოთ ჩვენი ქვეყნის უმთავრეს მიზანს - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. უდიდესია განაცხადი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ გააკეთა“, რომ ჩვენ გავაკეთებთ განაცხადს საქართველოს სრულფასოვან წევრობაზე ევროკავშირში. ეს არის უმნიშვნელოვანესი მიზანი, რომელსაც ჩვენ ერთად უნდა მივაღწიოთ. ეს მიზანი და საქართველოს ევროპული პერსპექტივა არის ჩვენი საერთო უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი ინსტისტუტი და ამ საერთო მიზანში ვგულისხმობ ჩვენს აფხაზ და ოს და-ძმებს. ჩვენ ყველამ კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ეს მიზანი არის ჩვენთვის მშვიდობიანი და კეთილდღეობით აღსავსე მომავლის უზრუნველმყოფელი.

კიდევ ერთხელ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თითოეულ თქვენგანს აქ მობრძანებისთვის, მინდა კიდევ ერთხელ მოგიწოდოთ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ყველანი ვფიქრობდეთ, რომ 31 ოქტომბერს არჩევანი არის ერთი და ეს არჩევანი არის „ქართული ოცნება“ და „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი.

მინდა მოგმართოთ თხოვნით, მობრძანდეთ აუცილებლად არჩევნებზე. მობრძანდეთ მეგობრებთან, ახლობლებთან, ოჯახის წევრებთან ერთად და გააკეთეთ არჩევანი იმისათვის, რომ ჩვენ შევძლოთ ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიანი თანმიმდევრული განვითარების უზრუნველყოფა. ეს არის უალტერნატივო არჩევანი, რომელიც საშუალებას გაძლევს, რომ იმედიანად გავიხედოთ მომავალში.

ზუგდიდი არის ქალაქი, სადაც არის უდიდესი ისტორია, ზუგდიდი არის ქალაქი, სადაც არის უდიდესი კულტურული მემკვიდრეობა. ზუგდიდი არის ქალაქი, სადაც არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ უდიდესი ნიჭი და შრომისმოყვარეობა. მე მინდა ვიყო მათი კეთილსინდისიერი მსახური.

კვლავ ერთად საქართველოს წარმატებისთვის!

## ირაკლი ხახუბიას სიტყვით გამოსვლა ფოთში

უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მთელ გუნდს ნდობისთვის. ვიყო ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ეს უდიდესი პასუხისმგებლობა და პატივია.

მაქსიმალურად ვიქნები ინიციატორი და განხორციელების პროცესში აქტიურად ჩართული ყველა იმ პროექტსა და პროგრამაში, რაც ფოთის, ხობის და სენაკის მაცხოვრებლების კეთილდღეობისკენ იქნება მიმართული. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ერთობლივი მუშაობით 4 წლის შემდეგ უფრო ლამაზ და განვითარებულ მუნიციპალიტეტებს მივიღებთ. ძალღონეს არ დავიშურებ და აქტიურ ლობირებას გავუწევ ყველა იმ პროექტს, რაც ფოთელების, ხობელებისა და სენაკელების წინსვლასა და წარმატებას უზრუნველყოფს.

ჩვენი ხელისუფლების პირობებში ფოთში არაერთი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტი განხორციელდა. ავაშენეთ სასწრაფო დახმარების ახალი შენობა, ქალაქს გადმოეცა რეანომობილი. გაიხსნა სამშობიარო სახლი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა შემოსასვლელ ხიდს. მალე გაიხსნება ფოთის საზღვაო აკადემია, რომელიც სტუდენტებს მომავალი წლიდან მიიღებს. აშენდა ფეხბურთის ცენტრალური სტადიონი და ბავშვთა საფეხბურთო აკადემია. ფოთში უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი საცურაო აუზი და სპორტული კომპლექსი მალე გაიხსნება. ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია და კუნძულის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა დასასრულს უახლოვდება. მიმდინარეობს ქალაქში არსებული კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ფონდ ქართუს.

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ და კიდევ მეტს გავაკეთებთ დევნილების პირობების გასაუმჯობესებლად, თავიანთ მხარეში დაბრუნებამდე. მიუხედავად დიდი პროგრესისა, ფოთი არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. ორი მთავარი პრობლემა, რაც ქალაქს დღეს აწუხებს, ეს არის წყალანირების სისტემა და საგზაო ინფრასტრუქტურა, თუმცა, ამ მიმართულებებითაც მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. ჩვენ ვპირდებით მოქალაქეებს, რომ აღნიშნული მიმართულებებით სამუშაოების ინტენსივობა კიდევ უფრო გაიზრდება.

ჩვენი გუნდის, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მთავარი საზრუნავი ადამიანია. ეს არის ერთადერთი პარტია, რომელიც ეროვნულ ინტერესებსა და ევროპული დემოკრატიის იდეალებზე დაფუძნდა და ეს ბევრჯერ დავამტკიცეთ.

ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ჩემს სამაჟორიტარო ოლქში შემავალი მუნიციპალიტეტები მაქსიმალურად განვითარდნენ ჩვენი სახელმწიფოს გასაძლიერებლად.

ერთად საქართველოს წარმატებისთვის!

®







# საარჩევნო ესკიზები

## „ლელოელი“ ბაბო

კარზე რომ დააკაკუნებენ, ეგრევე ვგრძობ, ვინ მომადგა – შინაური, გარეული, ნორმალური, არანორმალური, ნაცი, შმაცი, გნაცი თუ „ლელოელი“. შინაურებმა „პაროლი“ იციან, გარეულები, ანუ რიგითი მოქალაქეები საშუალო დონეზე აკაკუნებენ, ნაცებს ნერვიული კაკუნი აქვთ, თუ არ გავუღებ, კრუნჩხვებში ვარდებიან. გნაცებისა და შმაცების კაკუნი ძალიან ჰგავს ნაცებისას, მაგრამ მაინც არის განსხვავება, შედარებით „ლაითია“.

ამ დღეებში „ლელოელები“ გააქტიურდნენ „ლაითი“ კაკუნით, თუ კარის გაღებას დააგვიანებ, ფხაჭუნზე გადადიან. გავაღე, გავიხედე, ბაბო დგას, იკრიჭება, ხელში ბუკლეტები უჭირავს.

– მეო, პარტია „ლელოდანა“ ვარ, – თქვა და ხმა ჩაუწყდა.

– იყავით, დაგიშალეთ? – ეგრევე გადავედი შაყირზე.

– ხმას „ლელოს“ აძლევთ? – შემომაპარა.

– არა, ღმერთმა დამიფაროს! – გავამკაცრე ტონი.

– რატომ? – გაუფართოვდა თვალები.

– თქვენი „უმფროსი“ ხაზარაძე არ მევასება! – ავუწიე ხმას.

– უი, – შეხტა.

– თქვენ მაგაზე არ ინერვიულოთ, – დავაწყნარე, რათა ჩემ კართან არ ჩაკეცილიყო.

– ხაზარაძეზე არ ვნერვიულობ, მარტო ამ ბიჭზე ვფიქრობ, – გამომიწოდა ბუკლეტი, რომლის ყდაზეც წვერიანი ახალგაზრდაა გამოსახული.

– ეს ვინ არი? – ვითომ არ ვიცი.

– ჩერქეზიშვილია, კარგი ბიჭი, საწყალი, პატიოსანი, განათლებული, – ლამის იტირა.

– საწყალი? – გამოვიჭირე.

– ჰო... და თან განათლებული, ნაძალადევში დაიბადა, გაიზარდა, ყველაზე კარგად იცის, რა გვჭირდება, – დაიწყო „გაპრავება“.

– და საწყალს იმიტომ უნდა მივცე ხმა, რომ ეშველოს? – ისევ გამოვიჭირე.

– არა, რესურსი აქვს, – დაიწყო ჩემი დაბოლება.

– რა რესურსი? – მხრებს ვიჩეჩავ.

– 200 ათასი სამუშაო ადგილი გაჩნდება, „მარშალის გეგმა“ იცით? – კინაღამ გამომიჭირა.

– დიახ, ვიცი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწერა ევროპის აღმშენებლობისთვის. ინიციატივას სახელი ეწოდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯორჯ მარშალის პატივსაცემად. გეგმა სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლებმა შეიმუშავეს, უილიამ კლეიტონმა და ჯორჯ კენანმა, – დავაბნიე.

– ეგ არ ვიცი, მე მამუკა ხაზარაძის „მარშალის გეგმაზე“ გეუბნებით, – მაწვება.

– გამიგონია, მაგრამ როგორ ფიქრობთ, მეტი საქმე არ მაქვს, ხაზარაძის სისულელეები ვიკითხო? – ვაგრძნობინე, რომ მკიდია.

– ხაზარაძე ბევრი ფულით მოდის, – აურია.

– ივანიშვილზე ბევრი ფული აქვს? – მეცინება.

– არა, მაგრამ ეს 200 ათას სამუშაო ადგილს შექმნის, – მაგრად აურია.

– ქალბატონო, ამდენი დრო არ მაქვს, – საათზე ვიყურები.

გაწბილებული წავიდა, ვერ შემაბა. ბუკლეტს დავხედე, ოთხად გადავკეცე და შუაზე გადავხიე. გული დამწყდა, „ლელოელი“ ბაბო ძალიან ცუდად იყო დატრენინგებული.

## სად არის ლოგიკა?

ბიზნესმენმა დავით ხიდაშელმა 1938 წლით დათარიღებული რუკა იპოვა და სამშობლოს გადმოსცა. მადლობა ამისთვის. ამ რუკის თანახმად, გარეჯის ქედი ჩვენია. თუმცა „ნაციონალები“ ამტკიცებენ, გარეჯი აზერბაიჯანს ეკუთვნისო, ეს რუკა რუსული ნარატივიაო. როგორც პატარა ჩაჯვი, ნოდარ მელაძე იძახის, რუკის პოვნა ნიშნავს საქართველოს დაახლოებას რუსეთთან სულიერად.

ვერ გაიგეთ, ხომ?

ესე იგი, თუ ჩვენ აღმოჩენილი დოკუმენტის წყალობით დავიბრუნებთ ჩიჩხიტურს, უდაბნოსა და ბერთუბანს, სულიერად დავუახლოვდებით რუსეთს.

„ნაციონალები“ არიან მოღალატეები, ყაჩაღები, გამყიდველები, მკვლელები. მათ გაყიდეს კოდორის ხეობა, მიჰყიდეს რუსებს, ჩააბარეს ტყვიის გასროლის გარეშე. სანამ ჩააბარებდნენ, რამდენიმე თვით ადრე ხეობას უწოდეს ზემო აფხაზეთი. ჩაჯვთა ლოგიკით, თუ ოდესმე კოდორის დაბრუნების საკითხი დადგება, ჩვენ უფრო მეტად დავუახლოვდებით სულიერად რუსეთს. ასევე იქნება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების შემთხვევაში.

რა ლოგიკა, რი ატმი კურკა? ამათ როგორც ჩაჯვი გვარამია დაუსახავს და უკარნახებს, ისე ილაპარაკებენ. აგერ, კაცი, რომელმაც ამდენი ძველი, თითქმის დაკარგული რუკები მოიძია და ქვეყანას გადმოსცა, რუსეთის აგენტად შერაცხეს.

ამ დროს... თვითონ არიან რუსეთის აგენტები. აგერ, ზაზა ოქუაშვილი, რომელსაც თავი მოაქვს მწვანე კიტრივით და მისი ცოლი „ნაცების“ „სპისოკიდან“ იყრის კენჭს, რუსეთის მოქალაქე ყოფილა.

ზაზა ოქუაშვილი: „რუსეთის მოქალაქე ვართ ყველა. ჩვენ დავიბადეთ საბჭოთა კავშირში, ასეთად დამბადა დედამ და მამამ. როცა გავხდი 17 წლის, ავიღე საბჭოთა პასპორტი. ამას ვერ დავაბრუნებ, თუ ძალით არ გამომართვეს, მე არ ვაბრუნებ. ვმოღვაწეობდი რუსეთში, რუსეთის პასპორტი ძალიან კარგია, რომ გვაქვს“.

ეხლა ამის დავთრების თანახმად, ჩვენ, ყველა ვართ რუსეთის მოქალაქეები იმიტომ, რომ დავიბადეთ საბჭოთა კავშირში, ასეთებად დაგვბადეს დედებმა და მამებმა. როგორც ცხონებული ავლიპი იტყოდა ხოლმე, ჩვენ ძალიან გვიყვარს მშობლები, განსაკუთრებით დედა და მამა. რაც მთავარია, რუსეთის პასპორტი არის კარგი.

რა ვერ გაიგეთ? რაკი დედებმა და მამებმა გვშობეს საბჭოთა კავშირში, ავტომატურად ვართ რუსეთის მოქალაქეები. ხომ შეიძლებოდა, დედებს და მამებს „ვეშობეთ“ გვატემალაში, სინგაპურში ან ავღანეთში? არა, მაინც და მაინც საბჭოთა კავშირში!

მაგრამ... აქ არსებობს ერთი დიდი „მაგრამ“!

დაუკვირდით, ვინც სხვას ემახის აგენტს, მოღალატეს, რუსეთუმეს, პუტინის მონას, მას აუცილებლად აქვს კუდი რუსეთში – ზოგს ბიზნესი, ზოგს სახლ-კარი, ზოგს სამსახური, ზოგს ყოფილი სამსახური და ასე შემდეგ. აი, სწორედ ასეთები იპრიწებიან, გარეჯი აზერბაიჯანს ეკუთვნისო, კოდორი ზემო აფხაზეთიაო, ახალგორი და სამაჩაბლო ოსეთიაო, აფხაზეთი ჩვენი არასდროს ყოფილაო.

სად არის ლოგიკა?

სად არის და იქ, სადაც დავასკვნით, რომ ესენი ნამდვილად რუსეთის აგენტები არიან!



## გადაუწყვეტლები

არჩევნებამდე ერთი კვირა დარჩა. თითქმის ყოველდღე ქვეყნდება „ავტორიტეტული“ ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევებისა თუ გამოკითხვების შედეგები. ზოგან „ქართული ოცნება“ ლიდერობს, ზოგან „ნაცმოძრაობა“ იმარჯვებს, ზოგან დავით ბაქრაძეა ისევ პირველ ადგილზე, ზოგან ალეკო ელისაშვილი მოდის უმრავლესობით, ზოგან გიორგი (გოგიტა, ჯუნიორ) ვაშაძე გახლავთ პრემიერ-მინისტრი, ზოგან მევახშე მამუკა ხაზარაძე. ამ უკანასკნელს ანაკლიის პორტიც ესიზმრება ხოლმე.

მოკლედ, ყველა ე.წ. პარტია ვიღაც ე.წ. ავტორიტეტულ კანტორებს უკვეთავს ე.წ. კვლევებს, ისინიც სხედან და ისეთი ციფრები გამოჰყავთ, ისეთი პროცენტები, გადამხდელებს რომ ეამებათ, გულებზე მალამოდ რომ მოედებათ. იმათი რა მიდის? ესენი უხდიან და ისინიც წერენ, მერე ესენი გახარებულები გამოდიან და თავიანთებურად ატრაკებენ. სწორედ ამაზეა ნათქვამი, ატრაკებენ და უხარიათო.

ამას დავანებოთ თავი, დაე უხაროდეთ 31 ოქტომბრამდე, აქ საქმე სხვა რამეშია!

ესე იგი, თითქმის ყველა გამოკითხვით, ამ ქვეყანაში მოსახლეობის 30% გადაუწყვეტელია. ზოგან ცოტა მეტია, ზოგან ცოტა ნაკლებია.

რას ნიშნავს გადაუწყვეტელი? იმას, რომ ადამიანები ჯერაც ფიქრობენ, არ იციან, ვის მისცენ ხმა, ამანოს, იმანოს თუ არავის. აი, აქ კი ყველას საკუთარი ფანტაზია აქვს, ანუ ყველას ჰგონია, რომ ეს 30% მისია. მაგალითად, „ჭ“ კატეგორიის პარტია, სავარაუდოდ, იღებს 3–4%-ს, მისი „უმფროსობა“ ამატებს 30%-ს, პლიუს 30 მაჟორიტარს და მორჩა, უმრავლესობაშია.

მე პირადად მითი გადაუწყვეტელთა შესახებ, არ მჯერა, ყველამ ძალიან კარგად იცის, ვის უნდა მისცეს ხმა. მართლა გადაუწყვეტელი, ჩამოუყალიბებელი და გონებადაკარგული ამ ქვეყანაში შეიძლება იყოს 4–5%. როდესაც ტელეფონზე ვიღაც გირეკავს და გეკითხება, ხმას ვის აძლევო, ამ დროს ღიზიანდები და... თუ არ აგინებ, უთიშავ მაინც. ჩემთვისაც არაერთხელ დაურეკავთ, მაგრამ არასოდეს ვუკაკლავ, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ვარ, მე რა ვიცი, ვინ ოხერია და რა უნდა?

ასე რომ... ჩემი ღრმა რწმენით, ე.წ. გადაუწყვეტლები ხელისუფლებას უფრო მისცემენ ხმას, ვიდრე ჭაობში ჩაძირულ ე.წ. ოპოზიციას.

მაქვს კიდევ ერთი იდეა: სიტყვა „გადაუწყვეტელი“ ძალიან ცუდად ხვდება ყურსა და თვალს, გეგონება „ამოწყვეტილებთან“ გვაქვს საქმე. ღმერთმა ყველა კარგად ამყოფოს, მაგრამ სჯობს, ასეთებს ვუწოდოთ „მოუფიქრებლები“, „ჩაფიქრებულები“ ან სულაც... დროებით დაბნეულები.

ასეა თუ ისე... ე.წ. ოპოზიცის ისეთ რაღაცებს კადრულობს, ისეთ მოღალატეობრივ გზას ადგას, ქართველი ხალხისგან ერთი ხმაც არ ეკუთვნის!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61





# ტელევიზიებია თუ ავაზაკთა და უწმინდურთა გასახეხ-გასარეცხი საამქრო?

## მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს ბატონ კახა ბექაურს



„ბატონო კახა,

მაქვს ბევრი ფული. (ოღონდ არ მკითხოთ, საიდან მაქვს).

მინდა გავხსნა ტელევიზია.

გთხოვთ, მომცეთ ლიცენზია“.

აი, ასეთი შინაარსის განცხადება რომ შევიდეს მარეგულირებელ კომისიაში, საინტერესოა, მისცემენ თუ არა ტელემაუწყებლობის უფლებას განცხადების შემომტანს?

ალბათ, მისცემენ...

სადაც კეზერაშვილს და ჟორიკა რურუას მისცეს ლიცენზია, ამან რა დააშავა?

როგორც კომისიის თავმჯდომარემ კობა ბექაურმა ამასწინათ დიდი კმაყოფილებით განაცხადა, საქართველოში ტელევიზიის დაფუძნება ისეთივე ადვილია, როგორც, ვთქვათ და საიტის დაარსება.

მერედა, კარგია ეს, ბატონო კობა?

— კარგია, ძალიან კარგიაო, — გვიპასუხებს, ალბათ, ბატონი კობა და ზედ იმასაც დააყოლებს, რომ ეს ყველაფერი საქართველოში დემოკრატიის და სიტყვის თავისუფლების მაღალი ხარისხის მაჩვენებელია.

რა ყველაფერი უკუღმა გვესმის ამ დალოცვილ საქართველოში, მათ შორის დემოკრატიაც და სიტყვის თავისუფლებაც.

დემოკრატია ლობიოობა რომ არ არის, ეს კარგა ხნის წინათ გვითხრა „დიდმა განმანათლებელმა“ ჯაბა იოსელიანმა, „კანონიერმა ქურდმა“ „ახალი“ საქართველოს „ფუძემდებელმა“ და ამ ოქროს სიტყვებს ზედ ავტომატის ჯერიც მიაყოლა, რომ მის ნათქვამს მეტი დამაჯერებლობა ჰქონოდა.

დიახ, დემოკრატია ლობიოობა რომ არ არის, ეს ვიცით, მაგრამ, ჯერჯერობით, ის ვერ დაგვიდგენია, რა არის ეს დემოკრატია, სად იწყება ის და სად მთავრდება, რისგან გვათავისუფლებს და რა ვალდებულებებს და რა პასუხისმგებლობებს გვაკისრებს.

ბატონი ბექაურის და მას დაქვემდებარებული მარეგულირებელი კომისიის გაგებით, დემოკრატიაა, თურმე, როცა ყოველგვარი ფილტრაციის და დაბრკოლებების გარეშე ნებისმიერ ვიგინდარას, ნებისმიერ ავაზაკს, თუ ფული აქვს, უფლება აქვს ტელევიზია გახსნას, მერე კი მიადგეს ქართულ სახელმწიფოს და ნება-ნება ანგრიოს და აპარტახოს.

— არა, ეგრე არ არის, ბატონო, ჩვენ კანონების მთელი დასტა გვაქვს მაუწყებლობის შესახებ და ვინც ამ კანონებს დაარღვევს, მკაცრად დაისჯება! — იტყვის, ალბათ, მარეგულირებელი კომისია.

კი, კანონები გაქვთ, როგორ არ გაქვთ, მაგრამ ამ კანონების მიხედვით დასჯილი ჯერ არავინ გვინახავს და, დიდი ალბათობით, კიდევ დიდხანს ვერ ვნახავთ, რადგან ნებისმიერი გაფხარკალება კომისიის მხრიდან კანონდარღვევის დასასჯელად, შეიძლება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვად გამოცხადდეს და ლამის ნახევარი მსოფლიო ფეხზე დადგეს, ამას კი ჩვენი თავაზიანი და ზედმეტად მოკრძალებული კომისია, ცხადია, მოერიდება.

დემოკრატიისა არ იყოს, საქართველოში ჯერჯერობით არც ის არის ზუსტად დადგენილი, რა არის ეს სიტყვის თავისუფლება, რა ჩარჩოებში და რა ნორმებშია მოქცეული და სად გადის ის ზღვარი, რომლის გადალახვის შემდეგ სიტყვის თავისუფლება ბოროტებად, მავნებლობად, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ მძლავრ იარაღად იქცევა.

სპეკულაცია სიტყვის თავისუფლებით, მანიპულაციები სიტყვის თავისუფლების სახელით, შეიძლება, დამანგრეველი ხასიათისა იყოს საზოგადოებისთვის, სახელმწიფოსთვის, ხოლო რაც ანგრევს, მაგრამ არ აშენებს, შეუძლებელია სიკეთესთან გაიგივდეს.

ობიექტურნი თუ ვიქნებით, უსამართლობა იქნება, პასუხისმგებლობა მხოლოდ მარეგულირებელ კომისიას დავაკისროთ იმ უმსგავსობათა გამო, რაც ჩვენს ელექტრონულ მედიაში ხდება.

ქვეყანაში, სადაც დღემდე მოქმედებს „ნაცმოძრაობის“ დროს შექმნილი და სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი კანონი პრესის შესახებ, ძნელია ვინმეს რაღაცის დარეგულირება მოსთხოვო, თუმცა, მარეგულირებელ კომისიას იმის გაკეთება მაინც ხომ შეუძლია, რომ საზოგადოების, პარლამენტის მსჯელობის საგნად აქციოს ერთმანეთზე ჯაჭვის რგოლებივით გადაბმული ის ცალკეული კანონები თუ სამართლებრივი აქტები, რომლებიც მთლიანობაში იმის საშუალებას იძლევა, რომ ღიად და დაუფარავად ებრძოლო სახელმწიფოს, სახელმწიფო ინსტიტუტებს, ღიად და დაუფარავად ეწეოდე ძირგამომთხრელ საქმიანობას ქვეყნის დასანგრევად და პასუხი არაფერზე მოგეთხოვოს, როგორც ეს „მთავარის“, “ფორმულას“ თუ ტვ-1-ის შემთხვევაში ხდება.

რა მნიშვნელობა აქვს ქვეყანას ტანკებით და თვითმფრინავებით დაგინგრევენ თუ ტელევიზიებით?

რა მნიშვნელობა აქვს, სახლში მტრის ჯარისკაცი შემოგივარდება ავტომატით ხელში თუ მიკროფონით შეიარაღებული გვარამია და გაბუნია შემოგიხტება, რომ აპოკალიფსური სურათი დაგიხატონ, ყველაფრის იმედი გადაგიწურონ, სიცოცხლე შეგაძულონ და სიკვდილი მოგანატრონ.





კვირა არ გავა, ტელეკომპანია „მთავარის“ ეკრანზე უცხო ქვეყნის მოქალაქე, მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი არ გამოჩნდეს და პოლიტიკური განცხადებები არ გააკეთოს, მარეგულირებელი კომისია კი კვლავ მშვიდად ადევნებს თვალს ამ უმსგავსობას.

რას არეგულირებთ თქვენ, პატივცემულო მეგობრებო, თუ არაფერზე არ გექნებათ რეაქცია?

თუ ვერაფერს ვერ არეგულირებთ, მაშინ რა საჭიროა მარეგულირებელი კომისია?

მრავალწლიანი ბრძოლის შემდეგ „რუსთავი-2“-ი ძლივს გამოღლიტეს ხელიდან მის მიმტაცებლებს, მაგრამ რა აზრი ჰქონდა ამ ყველაფერს, თუ „რუსთავი-2“-ის ადგილას ორი ახალი „რუსთავი-2“-ი აღმოცენდებოდა, იმ ძველზე გაცილებით უარესი, თავისი სულისკვეთებით და იდეოლოგიური ხაზით მკვეთრად ანტისახელმწიფოებრივი, მკვეთრად ანტიქართული, მკვეთრად ანტიზნეობრივი.

ეს კი იმის გამო გახდა შესაძლებელი, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, არ არსებობს არავითარი საკანონმდებლო ბარიერი, რომელიც ხელს შეუშლის საეჭვო რეპუტაციის, კრიმინალური წარსულის ადამიანებს, ხაზინის ქურდებს, კორუმპირებულებს, გნებავთ, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან დაკავშირებულ პირებს, დაეუფლონ ისეთ ზემძლავრ იარაღს როგორიც არის ტელევიზია, რომლითაც შესაძლებელია სახელმწიფო დაანგრიო.

ფაქტია, რომ სწორედ ამ განუკითხაობის შედეგად დღეს ქართული ტელევიზიების ერთი ნაწილი ქართულ სახელმწიფოს ანგრევს, მაგრამ პასუხის მომთხოვნი არავინაა.

... 10 დღეში არჩევნებია.

თუ ამ არჩევნებში მკვლელები, მანიაკები, ხაზინის ქურდები, ყაჩაღები, უცხო ქვეყნების აგენტები, პროვოკატორები, სადისტები, ავანტურისტები ხმების გარკვეულ რაოდენობას მიიღებენ და, მთლად უარესი, პარლამენტშიც შევლენ, იცით, ვისი „დამსახურება“ იქნება ეს, პატივცემულო მარეგულირებელო კომისიავ?

ვისი დამსახურება იქნება და იმ ტელევიზიების, რომლებიც ადამიანების ტვინების გამორეცხვით არიან დაკავებულნი და დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე თვალში ნაცარს გვაყრიან რომ მგლები და აფთრები უმანკო კრავებად წარმოაჩინონ.

ტელევიზიებია ეს თუ ქიმწმენდის საამქრო, სამრეცხაო, სადაც ცოდვილიანებს ცოდვები უნდა ჩამორეცხონ, სისხლი უნდა ჩამობანონ, გახეხონ, გააპრიალონ და ასე გასუფთავებულ-გაწკრიალებულნი ხალხში გაუშვან, რომ ამ პროცედურით გაბრუებულ და აზროვნებადკარგულ ადამიანებს ხმები გამოსტყუონ.

ბარემ აქვე დავსვათ კითხვა: — კი, მაგრამ, თქვენ არ მიეცით ამ ტელევიზიებს მაუწყებლობის უფლება ისე, რომ არც იკითხეთ, ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვინც ამ ტელევიზიების უკან იდგნენ, რა მიზნები ამოძრავებდათ, რა უნდოდათ ამ ტელევიზიებს რომ ხსნიდნენ და, რაც მთავარია, საიდან ჰქონდათ ის დიდძალი თანხა, რომელიც ტელევიზიის შენახვას სჭირდება?

ასე რომ, იმ განუკითხაობაში, რომელიც დღეს ქართულ ელექტრონულ მედიაში სუფევს და რომელიც არცთუ ისე იშვიათად სახელმწიფოსა და საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ფორმებსაც იძენს, თქვენი ლომის წილიც დევს, ძვირფასო მარეგულირებელო კომისავ!

ასე რომ, იფიქრეთ, როგორ შეიძლება ამ სიტუაციიდან გამოვიდეთ, იფიქრეთ, სანამ ურემი არ გადაბრუნებულა და ქვეშ არ მოუყოლებიხართ თქვენც ეს და ეს ქვეყანაც...

**ვახტანგ ხარჩილავა**









# ხაზარაძემ და მისმა ბანდამ ანაკლია კატასტროფის ზონად აქცია!

## პატივცემულო ხელისუფლებავ, ან მამუკა ხაზარაძეს და მის თაღლითებს ზღვიდან ამოტუმბული 8 მეტრის „ქვიშის ზებანი“ ჩააბრუნებინეთ უკან მათივე ხარჯებით ან ამ „ზებანის“ ქვეშ მიუჩინეთ საქმო საფლავი!

ინვესტორად წოდებული უცხოელის და ქართველი საბანკო თაღლითების მიერ, უპატრონოდ მიტოვებული ანაკლია და ზღვის ფსკერიდან ამოღებული, 100 ჰა ტერიტორიაზე 8 მეტრის სიმაღლეზე დაზვინული, საუკუნეების მანძილზე ზღვის ფსკერზე დაკონსერვებული, შეუსწავლელი მასა, ადვილი შესაძლებელია **„კორონა ვირუსზე“ გაცილებით საშიში გახდეს.**

**ვინ გააუვნებელყოფს საქართველოში, „ოპოზიციაში“ და „პოზიციაში“ შემოთესლილ „პოლიტკორონავირუსს“?**

ამათაც ხომ ჰყავთ შემქმნელები, მაგრამ, ისინი ხომ, **იმ ქვეყნის გადარჩენაზე არ ფიქრობენ, სადაც თავიანთი აღზრდილები ჩათესლეს?**

ამაზე ჩვენ უნდა ვიფიქროთ, ქვეყნის რიგითმა მოსახლეობამ,



თორემ გარედან ჩვენი მშველელი არასოდეს გამოჩნდება!

ახლა, რაც ყველაზე მთავარი და საშიშია:

**„ანაკლია პორტის ეკოლოგიური მონიტორინგის ჯგუფმა“** პირველებმა ავტეხეთ განგაშის ზარი, ანაკლიაში შექმნილ ეკოკატასტროფაზე, 80 გვერდიანი მეცნიერული ნაშრომიც დავდეთ, რომელიც საქართველოს მთავრობას, პარლამენტს, ოპოზიციას, მმართველი პარტიის თავკაცებს გაეგზავნა, მაგრამ მას რეაგირება არ მოჰყოლია!

რა ეშველება **ანაკლიის ულამაზეს სანაპიროზე 100 ჰექტარზე დაზვინულ ზეგან — საწამლავს?**

ვინ იცის, საუკუნეების წინ მიძინებული, როგორი სახის ინფექცია იფეთქებს კვირიკაშვილ — ქუმსიშვილის ფავორიტ ხაზარაძის მიერ ანაკლიაში უპატრონოდ მიტოვებული **„ეპიდემიის წყაროდან“**?

დაინტერესებული მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ანაკლიაში ეკოკატასტროფული მდგომარეობის შექმნას წინ უძღოდა, 2016 წლის 5 თებერვალს გაყალბებული ტენდერი და ტენდერში, ყოველმხრივ მოუმზადებელი **ხაზარაძე და კონტი ჯგუფის**, იგივე **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“** გამარჯვებულად გამოცხადება.

ოთხი წლის განმავლობაში უშედეგო დაპირებების და ძვირად ღირებული დროის უსასრულოდ გაფლანგვის გამო, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ხაზარაძის **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“** ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობიდან ჩამოშორების შესახებ.

იმის ნაცვლად, რომ 2019 წლის ბოლოს ანაკლიაში პორტის მშენებლობის პირველი ფაზა დამთავრებული ყო და გემები შემოსულიყო, 2016 წლის ტენდერში გამარჯვებული, ტენდერის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო დისკვალიფიცირებულ იქნა და **„ანაკლია პორტის“** მომლოდინეებს ეუწყა, 2021 წელს ახალი ტენდერის დანიშვნის შესახებ.

ერთი წუთით დავანებოთ თავი ქვეყნისთვის მიყენებულ აუნაზღაურებელ ზარალს, რაც მოხდა ლოგიკურია, მაგრამ **„ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის“** მშენებლობაზე ახალი ტენდერის გამოცხადება, ქვეყანაში მოქმედი ტენდერის კანონის დარღვევაა, რადგან სანამ ამ უკიდურეს გადაწყვეტილებამდე მივიდოდეს, მთავრობამ, ჯერ ტენდერის ფინიშზე გასული მეორე კანდიდატის შემოთავაზებები უნდა გადასინჯოს და თუ იგი, პირველი ტენდერის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, მაშინ უნდა გადადგას ახალი ტენდერის მომზადებისა და გამოცხადების ნაბიჯი, რაც რამდენიმე მილიონი ლარი დაჯდება!

კარგი ბატონო, არ გაითვალისწინა, ან გამორჩა, უამრავი სხვა საკითხებით დაკავებულ მთავრობას ზემოთხსენებული **„სატენდერო რეგულაცია“**, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს მთავრობის წარმომადგენელთა (ინფრასტრუქტურის სამინისტროს) ანაკლიაში ჩასვლა და მათი განცხადება, რომ:

**„რკინიგზასა და ავტობანთან დამაკავშირებელი ადგილის შესარჩევად გართ ჩამოსულები ანაკლიაში?“**

ნუთუ, ისე როგორც 2016 წლის 5 თებერვალს იყო წინასწარ ცნობილი, ვის უნდა გაემარჯვა ტენდერში, ახლაც იგივეს აპირებენ?

თუ არა, რა იცის ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, ვინ იქნება ახალი ტენდერის გამარჯვებული და როგორი სახის პროექტს წარმოადგენს იგი?

ის, რომ, ხაზარაძის ე.წ. **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“** მიერ შერჩეული, პორტის ასაშენებელი ადგილი არანაირად არ შეესაბამება **„სავაჭრო-სამრეწველო პორტისთვის“** საჭიროს, კარგა ხანია გაცხადდა.

როგორც ზემოთ ვახსენე, ჩვენ, **„ანაკლიის ეკომონიტორინგის ჯგუფმა“**, ამის შესახებ ექვს სამინისტროს, პრემიერმინისტრს, მმართველი პარტიის და პარლამენტის თავმჯდომარეებს წერილობით მოვახსენეთ, თუ რატომ ვერ აშენდება **„ანაკლია პორტი“**. სამწუხაროდ, მათგან, მხოლოდ იმის დასტური მივიღეთ ფოსტით, რომ გზავნილი მიიღეს, მაგრამ ეტყობა დღემდე არ წაუკითხავთ, თორემ მსგავს ლაფსუსს არ დაუშვებდნენ!

თუ ისინი ჩქაროსნული რკინიგზის და ავტობანის მიბმას, ხაზარაძის ე.წ. **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“** შექმნილ ხელოვნურ ზვინულთან აპირებენ, პირდაპირ უნდა ითქვას:

ეს დიდი უპასუხისმგებლობაა და კიდევ ერთხელ ადასტურებს, **მათ მიერ ანაკლიაში დაწყებული საქმის საეჭვო დანიშნულებას**!

აქ, კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი საკითხია გადასაწყვეტი:

**საინტერესოა, ახალი ტენდერის შემთხვევაშიც, სხვის მიწაზე აპირებენ პორტის აშენებას?**

საქართველოს მთავრობის უმაღლესი მმართველებიდან დაწყებული, პროკურატურის ყველაზე დაბალი ჩინოსნის ჩათვლით, ცნობილია, რომ:

2100 ჰექტარი მიწა ანაკლიაში, საგანგებოდ **„ღრმაწყლოვანი პორტის“** ასაშენებლად თეიმურაზ ქარჩავას 2010 წელს აქვს შეძენილი, არა 1 ლარად, როგორც მაშინ იყო მიღებული და დადგენილი, მაშინდელ მთავრობასთან ჯვარდაწერილთათვის, არამედ 3,5 მილიონი დოლარი აქვს გადახდილი და იგი სააკაშვილის მთავრობამ კანონის უხეში დარღვევით ჩამოართვა მას და 2011 წელს, თავის კომპანია **„ლაზიკას“** გადასცა საჩუქრად.

ეს ის საკითხია, რომელიც **„ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის“** ახალი ტენდერის გამოცხადებამდე უნდა გადაწყდეს, **ზემოთხსენებული 2100 ჰა მიწის ფართობი კანონიერ მფლობელს დაუბრუნდეს,** რომ ეჭვქვეშ არ დადგეს, როგორც კანონის უზენაესობა ქვეყანაში, ასევე ახალი ტენდერის, ქვეყნისა და მისი მოსახლეობის სასიკეთო დანიშნულება!



რაც შეეხება, ამ დღეებში, მტვრის ბურუსში გახვეულ ანაკლიას და ანაკლიელებს, ერთადერთი, ვისაც ისინი უყურადღებოდ არ ჰყოლია მიტოვებული **„ანაკლია პორტის ეკოლოგიური მონიტორინგის ჯგუფია“**, რომელიც კვლევებს საკუთარი ხარჯებით, საზოგადოებრივ საწყისებზე, საკუთარი ენთუზიაზმის საფუძველზე ატარებდა.

საპირისპიროდ ამისა, ყველაზე საოცარი ის არის, რომ იმან, ვინაც ანაკლია ეკოლოგიური კატასტროფის კერად აქცია, დღეს საარჩევნო პიარად იყენებს მას და სახელმწიფოს **„1 მილიარდ დოლარს“**ედავება, რომელიც, მას, კარგა ხნის წინ **უნდა გადაეხადა** იმავე სახელმწიფოსთვის **„ანაკლია პორტის“ უნიკალური პროექტის ჩაშლის გამო!**

ასეთი აბსურდის შემხედვარე, ანაკლიელები მაინც დუმან. მე, როგორც ანაკლიელი და ანაკლიის პრობლემების მკვლევარი ჟურნალისტი მივმართავ მათ:

**„ჩემო ანაკლიელებო, რამდენიმე ათეული სტატია მაქვს მიძღვნილი ამ კატასტროფის შემოქმედებისადმი, ჩემი ხელით მაქვს გაზეთები თქვენთან ჩამოტანილი, სადაც უმარტივესადაა ახსნილი, თუ ვინ ჩაგვაგდო ამ დღეში. მაგრამ, თქვენ, რატომღაც, ეჭვი გეპარებათ და ამ საქმეში სრულიად უდანაშაულო ივანიშვილის ჯიბეზე, საგულდაგულოდ იცავთ თაღლით ხაზარაძეს, რომელმაც საუკუნის პროექტი „ანაკლია პორტი“ დალუპა!**



სიმართლის თვალებში ჩახედვის გარეშე, ჩვენ ვერაფერს მივაღწევთ!

კიდევ რა გვიშლის ხელს?

ის, რომ, თეიმურაზ ქარჩავას მიერ აგებულ ტაძარში, ეკლესია-მონასტრების გამყიდველებზე ლოცულობს, ქრისტეს გზას აცდენილ, ანაკლიელთა ნაწილი!

ვერცერთი ჭკუათმყოფელი, მთავრობის მეხოტბეობას მე ვერ დამწამებს, უმიზეზოდაც არავის ძაგებას ვაპატიებ ვინმეს, მაგრამ იმას, რასაც ხაზარაძის თაღლითები აკეთებენ, ანალოგი ვერსად მოვუძებნე!

ხაზარაძემ და მისმა ე.წ. **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“** ქვეყანას ეკონომიკური და პოლიტიკური კოლაფსიდან გამოსვლის, ლამის ერთადერთი შანსი გამოაცალა ხელიდან.

ხაზარაძის ანაკლიიდან მოკვეთის შემდეგ, უზარმაზარი ეკოლოგიური სიბინძურე დარჩა ზღვის ნაპირზე. როგორც თვითონ ამბობს 75 მილიონი (???) (ალბათ აშშ დოლარი) დაუჯდა მისი ზღვის ფსკერიდან ამოტუმბვა!

ახალი ტენდერის შემთხვევაში, ხაზარაძის მიერ წაბილწულ ადგილას პორტი ნამდვილად არ აშენდება.

აქედან გამომდინარე, ზღვის ფსკერიდან ამოღებული სიბინძურის უკან ჩაბრუნება, სპეციალისტების აზრით, ბევრად ძვირი დაჯდება. ცხადია, ამის დამფინანსებელი ხაზარაძე და მისი თაღლითები არ არიან. ამიტომ, მთავრობამ, ახალი ტენდერის პირობებში **ანაკლიის „საწამლავის ზვინულის“ გაუვნებელყოფის პირობაც უნდა ჩადოს**.

ხაზარაძე და მისი თაღლითების საკითხის გამოძიება კი, სახელმწიფოს მაღალკომპეტენტურ უწყებას უნდა ჩააბაროს საფუძვლიანი შესწავლისთვის!

**ანაკლიის აბორიგენი მოსახლეობის და**

**„ანაკლია პორტის ეკოლოგიური მონიტორინგის ჯგუფის“**

**სახელით,**

დავით ქობალია
598 70 86 00

# ყარაბაღი – ნაღმი, რომელზეც შეიძლება მთელი რეგიონი აფეთქდეს



მარათონულმა სამიტმა, რომელიც რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში გაიმართა აზერბაიჯანის, სომხეთის და მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით, მთიან ყარაბაღში ფართომასშტაბიანი ბრძოლების შეწყვეტის იმედი გააჩინა. ჰუმანიტარულ ზავზე და ცეცხლის შეწყვეტაზე მიღწეული შეთანხმება ქაღალდზე დარჩა, რადგან ნაკისრი ვალდებულება შეხვედრის დასრულებიდან მალე დაირღვა — ყარაბაღის ცალკეულ ტერიტორიაზე განახლდა ბრძოლები. მხარეები ზავის პირობების დარღვევაში, ტრადიციულად, ერთმანეთს ადანაშაულებენ. სამწუხაროდ, მხარეებმა დაღუპულთა მხოლოდ მცირე ნაწილი დაუბრუნეს ოჯახებს, ტყვეების გაცვლა, რომელთა ზუსტი რაოდენობა უცნობია, საერთოდ არ განხორციელებულა.

ცეცხლის შეწყვეტის ნაცვლად, დაპირისპირებული მხარეები წერტილოვან დარტყმებს ახორციელებენ. გასულ კვირას სომხეთმა აზერბაიჯანი დაადანაშაულა, რომ ყარაბაღის საზღვართან უშუალოდ მათ ტერიტორიაზე ავიაციის გამოყენებით დაბომბეს სომხების სამხედრო ტექნიკა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ფაქტი გააპროტესტა, ამასთან განაცხადეს, რომ სომხეთი იტოვებს უფლებას მსგავს ფაქტს, სარკისებურად უპასუხონ, განახორციელონ შეტევა აზერბაიჯანის ტერიტორიებზე. აზერბაიჯანის მხარეს არ უარუყვია განხორციელებული საავიაციო შეტევა. მათი თქმით ეს მხოლოდ გამაფრთხილებელი აქტი იყო სომხეთისთვის, რათა დროულად გაიყვანონ ყარაბაღიდან სამხედრო შენაერთები. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა პირდაპირ განაცხადა: „...აზერბაიჯანი გააგრძელებს შეტევებს ვიდრე სომხეთი არ გაიყვანს თავის ჯარს ყარაბაღიდან“. სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ პაშინიანი მიიჩნევს, „რუსეთს სჭირდება მინსკის ჯგუფის დანარჩენი მონაწილეების ამერიკის შეერთებული შტატების და საფრანგეთის აქტიური მხარდაჭერა, რათა შესრულდეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება“.

საინტერესოა, რომ აზერბაიჯანის მხარე ადრე უარყოფდა მათ ტერიტორიაზე თურქეთის სამხედრო თვითმფრინავების F-16 არსებობას. გასულ კვირას პრეზიდენტმა ალიევმა აღიარა, რომ მართლაც ყოფილა იქ თურქული თვითმფრინავები, მაგრამ ზაფხულში თურქეთის არმიასთან ერთობლივი წვრთნების შემდეგ ფრენები არ განუხორციელებიათ, მიწაზე არიანო, განაცხადა პრეზიდენტმა.

რეგიონში ვითარება კვლავ არაპროგნოზირებადი რჩება. გასულ კვირას სომხეთის მხარემ, აზერბაიჯანელთა მტკიცებით, კვლავ განახორციელა საარტილერიო შეტევა აზერბაიჯანის ქალაქ განჯაზე. აზერბაიჯანის განცხადებით, დაიღუპა 13 მშვიდობიანი მოქალაქე, არიან დაჭრილები. ამის გამო ალიევმა პაშინიანს „სამხედრო დამნაშავე“ უწოდა. „...მათი ქმედება არის სამხედრო დანაშაული, დანაშაული კაცობრიობის წინაშე. ამის გამო სომხეთის მთავრობამ პასუხი უნდა აგოს. თუ საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ ახერხებენ მათ დასჯას, ჩვენ გავცემთ პასუხს ბრძოლის ველზე“ — თქვა განრისხებულმა ალიევმა. თავის მხრივ სომხეთი აზერბაიჯანს ყარაბღში, კერძოდ სტეპანაკერტში სამოქალაქო ინფრასტრუქტურის გამიზნულად დაბომბვა-განადგურებაში ადანაშაულებს.





„...აზერბაიჯანი ყარაბღის დამოუკიდებლობას არ დათანხმდება. ყარაბაღში სომხებთან ერთად უნდა მშვიდობიანად ვიცხოვროთ. ამიტომ აუცილებელ პირობად მიმაჩნია ყველა დევნილი სომეხი თუ აზერბაიჯანელის ყარაბაღში უპირობოდ დაბრუნება“ — განუცხადა ერთ-ერთ ტელეკომპანიას ილჰამ ალიევმა: „...ყარაბაღს უნდა მიეცეს თვითგამორკვევას უფლება, რაც აზერბაიჯანის მხარეს არ უნდა. ეს უკვე წითელი ხაზია“ — თავის მხრივ უპასუხა ნიკოლ პაშინიანმა.

გაურკვევლობის მიუხედავად, ყარაბაღის მომავალს ოპტიმისტურად აფასებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. გასულ კვირას ბრიფინგზე განაცხადა, რომ ყარაბაღის პრობლემის მოგვარება პოლიტიკურად ჯერ კიდევ შეიძლება. მისივე თქმით, უპრიანი იქნებოდა რეგიონში რუსეთის სამშვიდობო ძალების განთავსება, მაგრამ მხარეებს ჯერ არ მიუმართავთ და არ განუხილიათ ეს წინადადება. ლავროვის თქმით, სამშვიდობო ძალები კი არა, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულებისთვის რუსი სამხედრო დამკვირვებლების განთავსებაც საკმარისი იქნება. ნიკოლ პაშინიანი თანახმაა სამშვიდობო ძალების ყარაბაღში განთავსებაზე. სამაგიეროდ ილჰამ ალიევი კატეგორიული წინააღმდეგია ნებისმიერი მშვიდობისმყოფელების მიღებაზე, ვიდრე არ გაუქმდება ყარაბაღის ავტონომიური ოლქი.

შეიარაღებული კონფლიქტის გაფართოების საშიშროება იზრდება. აშშ-ის პრესის ინფორმაციით, სირიიდან თურქეთის გავლით ყარაბაღში რამდენიმე ასეული „ბოევიკი“ გადაისროლეს. თურქეთი და აზერბაიჯანი ფაქტს უარყოფენ, მაგრამ სომხეთის საჯარისო დანაყოფებმა აღმოაჩინეს 50 დაღუპულის ცხედრები. იდენტიფიკაციით გაირკვა მათი სირიული წარმომავლობა. გავრცელებული ინფორმაციით, დაღუპულთა რადიკალურ დაჯგუფებაში ყოფნა ოჯახის წევრებმაც დაადასტურეს. ფაქტზე სომხეთი და რუსეთიც უკვე მტკიცებით ფორმაში საუბრობენ. ასევე გავრცელდა ინფორმაცია პაკისტანის სამთავრობო სამხედროების ყარაბაღში ყოფნაზეც, რომლებიც აზერბაიჯანელების მხარეზე იბრძვიან. მავანს, შესაძლოა ჭორად მოეჩვენოს, მაგრამ კვამლი ცეცხლის გარეშე არ არსებობს. სიმართლე არ დაიმალება და მალე გაირკვევა ყოველივე. მთავარია ექსპერტების ვარაუდი არ გამართლდეს, ყარაბაღის კონფლიქტი საერთაშორისო, დიდ ომში არ გადაიზარდოს. სამი დღის წინ მეორედ შეთანხმდნენ აზერბაიჯანი და სომხეთი დროებით ზავზე, მაგრამ რამდენიმე საათში კვლავ დაირღვა პირობები, განახლდა საბრძოლო მოქმედებები, რასაც კვლავ ერთმანეთს აბრალებენ დაპირისპირებული მხარეები. ექსპერტების შეფასებით, გარკვეულ ძალებს არ სურთ რეგიონში მშვიდობამ დაისადგუროს, მათივე წაქეზებით გრძელდება შეტაკება მთიან ყარაბაღში და მის ფარგლებს გარეთაც.



კიდევ ერთი გარემოება რაც იმსახურებს ყურადღებას. გასულ კვირას უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმირ ზელენსკი სამუშაო ვიზიტით თურქეთში ჩავიდა. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა სტუმართან შეხვედრისას განაცხადა: „... თურქეთი არასოდეს აღიარებს რუსეთის მიერ ყირიმის უკანონო ანექსიას“. მაშინ, როდესაც რუს კოლეგა ვლადიმირ პუტინს „ძმასა და მეგობარს“ ეძახდა. ექსპერტების შეფასებით თავისი განცხადებით ერდოღანმა რუსეთი „დუელში“ გამოიწვია.

მთიან ყარაბაღის პრობლემა ორშაბათს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე განიხილეს. ვიდრე დიპლომატები მსჯელობენ რეგიონში სისხლისღვრა გრძელდება. როდის და რით დასრულდება ყოველივე, ბუნდოვანია.



პოლიტიკური კრიზისი ყირგიზეთში, რაც საპარლამენტო არჩევნებს მოჰყვა, დროებით მინელდა. უკვე ყოფილი პრეზიდენტი სარანბაი ჟენებეკოვი იძულებული გახდა გადამდგარიყო. თუმცა არ აპირებდა ახალ საპარლამენტო არჩევნებამდე დაეტოვებინა თანამდებობა. ახალ პრემიერ-მინისტრ სადირ ჟაპაროვთან პირისპირ თითქმის ოთხსაათიანი კამათის შემდეგ უარი თქვა გადადგომაზე, მაგრამ მეორე დღეს შეცვალა გადაწყვეტილება და წავიდა. კანონმდებლობით პოსტი პარლამენტის თავმჯდომარეს უნდა დაეკავებინა, მაგრამ ისიც გადადგა, ამიტომ გუშინდელი კრიმინალი სადირ ჟაპაროვი გახდა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ყირგიზეთში 20 დეკემბრამდე ჩატარდება, საპრეზიდენტო იანვარში, მაგრამ ჟაპაროვი, კონსტიტუციის მიხედვით საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. თუმცა ყირგიზეთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მათ შორის ახალი გადატრიალებაც, გამორიცხული არაფერია.

უცნაურად ვითარდება მოვლენები ბელორუსშიც. პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო ციხეში მივიდა და დაკავებული ოპოზიციონერები მოინახულა, ოთხი საათი ესაუბრებოდა მომავალ საკონსტიტუციო რეფორმაზე. 11-დან 4 ოპოზიციონერი შიდაპატიმრობაში გადაიყვანეს. პრეზიდენტობაზე პრეტენზიის მქონე სვეტლანა ტიხონოვსკაიამ შეძლო პატიმარ მეუღლესთან ტელეფონით საუბარი. მეორე დღეს ლიტვაში ემიგრაციაში მყოფმა ტიხონოვსკაიამ ულტიმატუმი წაუყენა ლუკაშენკოს — შეწყვიტოს ძალადობა, გაანთავისუფლოს პოლიტპატიმრები და რაც მთავარია 25 ოქტომბრამდე დატოვოს თანამდებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიწყება ოპოზიციის ფართომასშტაბიანი გაფიცვები და გამოსვლები. ლუკაშენკომ ტიხონოვსკაიას არ უპასუხა. სამაგიეროდ, ბელორუსში ტიხონოვსკაიას წინააღმდეგ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის მოწოდებისთვის. ამის გარდა, ქვეყნის უშიშროების სამსახურის უფროსმა გააკეთა განცხადება — დარბევა-არეულობის მოწყობის შემთხვევაში გამოიყენებენ ლეტალურ, საბრძოლო იარაღს... სავარაუდოდ ტიხონოვსკაიამ დაიჯერა ლენინის ფრთიანი გამონათქვამი: „...ნებისმიერ „კუხარკას“ შეუძლია ქვეყნის მართვა“.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ყველაზე პატიოსანი პოლიტიკოსები ისტორიაში

ისტორიასა და დღევანდელობაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც ადამიანები უანგაროდ ემსახურებოდნენ ქვეყანას და საზოგადოებას საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობებზე, რაც იმედს გვისახავს, რომ, მიუხედავად დღეს არსებული პრობლემებისა, სისტემაში არიან პატიოსანი, პრინციპული პოლიტიკოსებიც...



**არისტიდე (ჩვ.წ. აღმ-დე 530–467 წლები).** ათენის სახელმწიფო მოღვაწეს და მხედართმთავარს ამაოდ როდი შეარქვეს თანამედროვეებმა „სამართლიანი" — ეს იყო უდრეკი პატიოსნებისა და მაღალი მორალური პრინციპების მატარებელი ადამიანი. თავად ჰეროდოტეც კი არისტიდეს ათენში ყველაზე კეთილშობილ და სამართლიან ადამიანად თვლიდა.

არისტიდე ყოველთვის მიჰყვებოდა თავის პრინციპებს და ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვან პოლიტიკოსებს შორის, ვისაც სიცოცხლის ბოლო დღეებშიც კი არ დაუკარგავს ათენელი მოქალაქეების ნდობა. ის ჩვ.წ. აღმ-დე 467 წელს გარდაიცვალა და სახელმწიფოს ხარჯზე დაკრძალეს.

**ლუციუს კვინკციუს ცინცინატი (ჩვ.წ. აღმ-დე 519–439 წლები).** ძველრომაელი პატრიცი და პოლიტიკოსი ლუციუს კვინკციუს ცინცინატი იმით იყო გამორჩეული, რომ ორჯერ გახდა რომის დიქტატორი, რათა დაღუპვის პირას მდგარი იმპერია გადაერჩინა.

მის ადგილზე ნებისმიერი სხვა პოლიტიკოსი გამოიყენებდა შანსს, გამხდარიყო ერთპიროვნული მმართველი იმ დროისთვის ყველაზე ძლევამოსილი სახელმწიფოსი, მაგრამ, როგორც კი საფრთხე გაივლიდა ხოლმე, ის თანამდებობიდან მიდიოდა. ასეთი ფენომენალური კეთილშობილება მას უბრალოებისა და თავმდაბლობის მაგალითად აქცევდა.

ცინცინატი ძალიან მოკრძალებულად ცხოვრობდა მცირე ვილაზე და თავისუფალ დროს მიწათმოქმედებას მისდევდა.

**მარკუს ავრელიუსი (121–180 წწ.).** ისტორიაში იშვიათი მოვლენაა იმპერიის სათავეში ფილოსოფოსის ყოფნა. მარკუს ავრელიუსი ერთ-ერთი უკანასკნელია იმ ხუთ ეგრეთ წოდებულ კარგ იმპერატორს შორის, რომელთა მმართველობაც ხასიათდებოდა სტაბილურობით და გააზრებული საშინაო და საგარეო პოლიტიკით, რამაც რომის იმპერიას საშუალება მისცა, იმ წლებში აყვავების უმაღლეს დონემდე მიეღწია.

მარკუს ავრელიუსმა თავისი შეხედულებები არა სიტყვიერად ან ფილოსოფიური ფორმულებით დაამტკიცა, არამედ ადამიანური თვისებებითა და ცხოვრების უზადო ნირით.

**ჯორჯ ვაშინგტონი (1732–1799 წწ.).** ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩენილი მოღვაწე ჯორჯ ვაშინგტონი ლეგენდარული პიროვნება იყო. ის გახლდათ კონვენტის თავმჯდომარე, რომელზეც აშშ-ის პირველი კონსტიტუცია დაიწერა, ეკავა კონტინენტური არმიის მთავარსარდლის პოსტი, მანვე შექმნა შეერთებული შტატების პრეზიდენტის ინსტიტუტი.



ბრიტანეთის მეფე გეორგ III-მ მას „ეპოქის უდიდესი მოღვაწე" უწოდა.

ჯორჯ ვაშინგტონის გარდაცვალების შესახებ კონტინენტური არმიის გენერალმა ჰენრი ლიმ თქვა: „ის პირველი იყო ომის დღეებში, მშვიდობის დროს და თანამოქალაქეების გულებში", ნაპოლეონ ბონაპარტე კი ფრანგების წინაშე სიტყვით გამოვიდა და აშშ-ის პრეზიდენტის გარდაცვალების გამო საფრანგეთში 10-დღიანი ტრაური გამოაცხადა.

**აბრაამ ლინკოლნი (1809–1865 წწ.).** ლინკოლნს პრეზიდენტობამ ამერიკის ისტორიის რთულ პერიოდში მოუწია, მაგრამ ამ განსაცდელს ღირსეულად გაართვა თავი. მე-16 პრეზიდენტმა ქვეყანას ომი გადაატანინა, მონობა გააუქმა და ამერიკის მთავრობაში განხეთქილება დაძლია. აბრაამ ლინკოლნმა ტრანსკონტინენტური რკინიგზა გაიყვანა და ეკონომიკის მასშტაბური რეორგანიზაცია დაიწყო. მისი გარდაცვალების შემდეგ აშშ ყველაზე სწრაფად განვითარებადი ქვეყანა გახდა.

1865 წლის 14 აპრილს, ვაშინგტონში ფორდის თეატრის ლოჟაში ლინკოლნს მსახიობმა ჯონ ბუშმა თავში ესროლა, რომელიც დამარცხებული სამხრეთელების მომხრე იყო. მომდევნო დღეს პრეზიდენტი გარდაიცვალა.

**მაჰათმა განდი (1869-1948 წწ.).** 1921 წელს მაჰათმა განდი სათავეში ჩაუდგა ინდოეთის ნაციონალურ კონგრესს. მისი საზრუნავი იყო ქვეყანაში ქალების მდგომარეობის გაუმჯობესება, მოსახლეობის უღარიბესი ფენის ცხოვრების დონის ამაღლება, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების მოგვარება, ეკონომიკის განვითარება და, რა თქმა უნდა, ბრიტანეთის უღლისგან ინდოეთის გათავისუფლება.

მაჰათმა განდი, როგორც ინდოეთის დამოუკიდებლობის მოძრაობის სულისჩამდგმელი და სიმბოლო, პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი გახდა — ის 1948 წლის 30 იანვარს სამი გასროლით მოკლეს.



**ვაცლავ ჰაველი (1936–2011 წწ.).** ვაცლავ ჰაველს ლიტერატურული ტალანტი ჰქონდა — წერდა ლექსებს, ესეებს და პიესებს, მაგრამ ისტორიაში შევიდა, როგორც დისიდენტი და პოლიტიკური მოღვაწე.

ვაცლავ ჰაველი მრავალი წლის მანძილზე იბრძოდა დემოკრატიული პოლიტიკური წყობილების დასამყარებლად და თავისი ქვეყნის მოქალაქეთა უფლებების დაცვისთვის, რამდენჯერმე ციხეშიც მოხვდა, მაგრამ ჯიუტად განაგრძობდა მოღვაწეობას ამ მიმართულებით.



1989 წლის შემოდგომაზე ჩეხოსლოვაკიაში დაიწყო ცნობილი ხავერდის რევოლუცია, რომლის ერთ-ერთი ლიდერიც ვაცლავ ჰაველი გახდა. მას შემდეგ, რაც კომუნისტებმა ძალაუფლება დაკარგეს, ყოფილი დისიდენტი ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს. ამ თანამდებობაზე ის 1992 წლამდე დარჩა. 1993 წელს ის ხელახლა აირჩიეს და ამგვარად ის ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი და ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი გახდა, 1998 წელს ის მეორე ვადით აირჩიეს ამ პოსტზე.



**აუნ სან სუ ჩჟი (დაიბადა 1945 წელს).** თანამედროვე პოლიტიკურ არენაზე ერთ-ერთი ბრწყინვალე ქალბატონი აუნ სან სუ ჩჟი 1989 წლიდან 2010 წლამდე შიდა პატიმრობაში იყო სხვადასხვა ბრალდებებით, მთავარი ბრალდება ბირმის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა იყო. სწორედ ამის შედეგად გახდა ის ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლის სიმბოლო არა მხოლოდ თავის ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში.

1990 წელს მისმა პარტიამ საპარლამენტო არჩევნებზე ხმების 59% მოიპოვა, მაგრამ აუნ სან სუ ჩჟის მთავრობის ხელმძღვანელის პოსტის დაკავების საშუალება არ მისცეს, რადგან გააუქმეს კენჭისყრის შედეგები და კიდევ ერთხელ მიუსაჯეს შინაპატიმრობა. სუ ჩჟიმ ნობელის პრემია მიიღო მშვიდობის დარგში, რომლის მისაღებადაც ოსლოში მისი ვაჟები ჩავიდნენ, რადგან თვითონ შინაპატიმრობა ჰქონდა მისჯილი.



2010 წელს სუ ჩჟი შინაპატიმრობიდან გაათავისუფლეს, თავისუფალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებიდან ექვსი დღის შემდეგ. ის, რის გამოც სუ ჩჟი იბრძოდა, განხორციელდა — მისი პარტია პარლამენტში შევიდა, მისი ლიდერი დეპუტატი გახდა და განაგრძობს ბრძოლას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983